მუნიციპალიტეტების მიერ ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია და მართვა

2024

ევროკავშირი საქართველოსთვის
ქალთა ფონდი საქართველოში
WOMEN'S FUND IN GEORGIA
GCRT The Georgian Center for Psychosocial and Medical Rehabilitation of Torture Victims
ქალთა ოთახების გაერთიანება
WOMEN'S ROOMS UNION

ევროკავშირი
საქართველოსთვის

ქალთა ოთახების გაერთიანება
WOMEN'S ROOMS UNION

მუნიციპალიტეტების მიერ ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია და მართვა

აპრილი, 2024

ევროკავშირი
საქართველოსთვის

ქალთა ფონდი საქართველოში
WOMEN'S FUND IN GEORGIA

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ააიპ „ქალთა ოთახების გაერთიანება“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

ანგარიში მომზადდა ააიპ „ქალთა ოთახების გაერთიანების“ დაკვეთით და „ქალთა ფონდის საქართველოში“ ფინანსური მხარდაჭერით, „ქალთა ძალადობის პრევენცია და მართვა ადგილობრივი თვითმართველობების მიერ” პროექტის ფარგლებში.

დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა, არ ასახავდეს დამკვეთი და მხარდამჭერი ორგანიზაციების ოფიციალურ პოლიტიკას ან შეხედულებებს.

ანგარიში მოამზადა მაგდა მამუკაშვილმა.

სარჩევი

1. შესავალი 5

2. კვლევის ამოცანები და მეთოდოლოგია 6

3. მარეგულირებელი, ინსტიტუციური და სამოქმედო ჩარჩო მუნიციპალიტეტების მიერ ქალთა ძალადობის პრევენციისა და მართვის მიმართულებით 7

3.1 სამართლებრივი ჩარჩო 7

3.2 ინსტიტუციური ჩარჩო და ქალთა ოთახების როლი ქალთა მიმართ ძალადობის მიმართულებით 12

4. მუნიციპალიტეტების მიერ ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია და მართვა ... 13

4.1 მუნიციპალიტეტების მიერ განსაზღვრული სოციალური სერვისები 13

4.2 მუნიციპალიტეტების მიერ ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები 17

5. გამოვლენილი გამოწვევები და შესაბამისი რეკომენდაციები 22

5.1 ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის სოციალური სერვისები: 22

5.2 ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციული ღონისძიებები 29

5.3 მუნიციპალიტეტების ინსტიტუციური გაძლიერება 33

5.4 მუნიციპალიტეტების თანამშრომლობა სხვა სახელმწიფო უწყებებთან 38

6. შეჯამება 40

7. გამოყენებული წყაროები 43

1. შესავალი

ქალთა მიმართ ძალადობა ადამიანის უფლებათა ფართოდ გავრცელებული დარღვევა და გლობალური საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემაა. ქალთა მიმართ ძალადობა ფიზიკური, სექსუალური, ემოციური და ეკონომიკური ძალადობის სხვადასხვა ფორმით ვლინდება პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საბოლოო ჯამში, ქალთა მიმართ ძალადობა აუარესებს ქალებისა და გოგოების ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას და გრძელვადიან პერსპექტივაში, მან შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს მათ მიერ უსაფრთხოების, სტაბილურობისა და მშვიდობის განცდაზე. ქალთა მიმართ ძალადობას სერიოზული შედეგები მოჰყვება როგორც ქალებისა და გოგოების განვითარებისა და წინსვლის, ისე ეკონომიკასა და ქვეყნის განვითარებაში მათ მიერ შეტანილი წვლილის კუთხით. ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ საქართველოში მეორე ეროვნული კვლევის მიხედვით, ქალების 50%-ს განუცდია ქალთა მიმართ ძალადობის ერთი ფორმა მაინც ცხოვრების მანძილზე. მნიშვნელოვანია ქალთა მიმართ ძალადობით გამოწვეული ეკონომიკური ხარჯები, რაც ქალებს, ოჯახებს, თემებსა და ფართო საზოგადოებას ეკისრება.[1]

მუნიციპალიტეტებს განსაკუთრებული როლი აქვთ ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და მართვის მიმართულებით, როგორც ხალხთან ყველაზე ახლოს მდგომ ხელისუფლებას. მუნიციპალიტეტს როლი ეკისრება, არა მხოლოდ ძალადობის შემდგომ ქალების მხარდაჭერის, არამედ ძალადობის პრევენციის მიმართულებით. საზოგადოების მიერ ძალადობის სწორი აღქმა და რეაგირება უმნიშვნელოვანესია აღნიშნული დანაშაულის შემცირებისათვის. მუნიციპალიტეტის მიერ ცნობიერების ამაღლების კამპანიების განხორციელება და ქალების ინფორმირება ძალადობაზე სათანადო რეაგირების შესახებ წარმოადგენს არსებით ზომას. აღსანიშნავია, რომ ქალთა მიმართ ძალადობის კუთხით ღონისძიებების განხორციელება მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას არ წარმოადგენს. მუნიციპალიტეტს შეუძლია განახორციელოს მხოლოდ ის ღონისძიებები, რაც სხვა ორგანოს კომპეტენციას არ მიეკუთვნება. ამდენად, წინამდებარე კვლევის ფარგლებში განხილული იქნება ის ღონისძიებები, რომლის განხორციელებაც მუნიციპალიტეტს სხვა ორგანოების ქმედებების პარალელურად, დამატებით შეუძლია პრევენციისა და მართვის მიმართულებით.

ანგარიში შედგება შემდეგი თავებისგან: მარეგულირებელი, ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩო, მუნიციპალიტეტის მიერ ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია და მართვა, განხორციელებული ცნობიერების ამაღლების კამპანიები და განსაზღვრული სოციალური სერვისები, გამოვლენილი გამოწვევები პრევენციის, მართვის და ინსტიტუციური მოწყობის მიმართულებით და შესაბამისი რეკომენდაციები.

[1] „ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა“, 2022, UN Women Georgia.

2. კვლევის ამოცანები და მეთოდოლოგია

კვლევა მიმდინარეობდა 2024 წლის იანვრიდან 2024 წლის აპრილის ჩათვლით. კვლევამ მიზნად დაისახა, გამოევლინა გამოწვევები და საუკეთესო პრაქტიკები ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ძალადობის მართვისა და პრევენციის მიმართულებით. კვლევამ შეიმუშავა რეკომენდაციები, რომლის შესრულებაც გააუმჯობესებს ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევაში განსაზღვრულ სერვისებსა და ღონისძიებებს. კონკრეტულ საკვლევ საკითხებად განისაზღვრა, ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები, ინსტიტუციური განვითარება და სოციალური სერვისები, რომელსაც მუნიციპალიტეტი ამ მიმართულებით ახორციელებს.

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა ერთი მხრივ, ეროვნული სამართლებრივი თუ ინსტიტუციური ჩარჩოები, ხოლო მეორე მხრივ - ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და მართვის მიმართულებით მუნიციპალიტეტების გამოწვევები და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, მომზადდა რეკომენდაციებიც.

საკვლევ მუნიციპალიტეტებად იდენტიფიცირებულია თეთრიწყაროს, წალკის, ბოლნისის, მარნეულის, გარდაბნის, თელავის, ახმეტის, ყვარლის, სიღნაღის, დედოფლისწყაროს, საგარეჯოს, ლაგოდეხის, გურჯაანის, ზესტაფონის და ონის მუნიციპალიტეტები.

კვლევის ფარგლებში შემუშავდა კითხვარი და ფოკუს-ჯგუფ ინტერვიუები ჩატარდა შემდეგ ჯგუფებთან, ქალთა ოთახების მენეჯერებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის/დახმარების სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებთან, ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული სამსახურის წარმომადგენლებთან. ასევე, პირისპირ ინტერვიუები ჩატარდა ძალადობის მსხვერპლ 4 ქალთან. საუკეთესო პრაქტიკების გამოსავლენად ფოკუს-ჯგუფ ინტერვიუ ასევე ჩატარდა ოზურგეთის, ზუგდიდის, ქედის და შუახევის მუნიციპალიტეტების ქალთა ოთახის მენეჯერებთან.

გარდა ამისა, კვლევის ფარგლებში სპეციალური კითხვარის მეშვეობით, 15 მუნიციპალიტეტიდან და შესაბამისი სამთავრობო უწყებიდან გამოთხოვილ იქნა ადმინისტრაციული მონაცემები.

3. მარეგულირებელი, ინსტიტუციური და სამოქმედო ჩარჩო მუნიციპალიტეტების მიერ ქალთა ძალადობის პრევენციისა და მართვის მიმართულებით

3.1 სამართლებრივი ჩარჩო

ქალთა მიმართ ძალადობა გულისხმობს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისათვის დამახასიათებელ ყველა ქმედებას, რომელსაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ტანჯვის ან ეკონომიკური ზიანის მიყენება, მათ შორის, ასეთი ქმედებების ჩადენის მუქარა, ქალების იძულება ან მათთვის თავისუფლების თვითნებური აღკვეთა.[2] სტამბული კონვენციის მიზნებისათვის, „ქალთა მიმართ ძალადობა“ გულისხმობს გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის ყველა აქტს, როგორიცაა ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ძალადობა, იმის მიუხედავად, თუ სად ხდება ეს – საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში.[3]

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით, მსოფლიოს მასშტაბით ქალთა დაახლოებით მესამედს (35 პროცენტს) ცხოვრების მანძილზე ერთხელ მაინც გადაუტანია ფიზიკური და/ან სექსუალური ძალადობა ინტიმური პარტნიორისა და/ან არაპარტნიორის მხრიდან.[4] ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ საქართველოში მეორე ეროვნული კვლევის მიხედვით, ქალების 50.1 პროცენტს განუცდია ქალთა მიმართ ძალადობის ერთი ფორმა მაინც ცხოვრების მანძილზე. სექსუალური შევიწროება გამოუცდია - 24.5 პროცენტს, ადევნება - 8.5 პროცენტს, სექსუალური ძალადობა არაპარტნიორის მხრიდან გამოუცდია 1.5%-ს, ხოლო ფიზიკური ძალადობა 6.5%-ს. რაც შეეხება პარტნიორის მხრიდან განცდილ ძალადობას - 9.3 პროცენტს განუცდია სხვადასხვა ტიპის ძალადობა (ფიზიკური ძალადობა 5.1%-ს, სექსუალური ძალადობა 3%-ს, ფსიქოლოგიური ძალადობა 20.5%-ს, ხოლო ეკონომიკური ძალადობა 7.2%-ს).[5]

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის შესაბამისად, ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ ისეთი მექანიზმები, რომლებიც საჭიროა ყველა შესაბამის სახელმწიფო უწყებას და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს, სხვა შესაბამისი ორგანიზაციებსა და ორგანოებს შორის წარმატებული თანამშრომლობისთვის ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ყველა ფორმის მსხვერპლთა და მოწმეთა დაცვის და მხარდაჭერის მიზნით.[6] ამდენად, მუნიციპალიტეტებს

---

[2] გაეროს გენერალური ასამბლეა, 1993
[3] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, 2011
[4] ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, 2021 წელი.
[5] საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა, 2022 წელი.
[6] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, 2011

მნიშვნელოვანი როლი აქვთ ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და მართვის მიმართულებით.

იმისათვის, რომ კვლევის ფარგლებში სათანადოდ განისაზღვროს მუნიციპალიტეტების როლი და უფლებამოსილებები ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და მართვის მიმართულებით, უმჯობესია [რეფერირების პროცედურების]() შესაბამისად ჩამოყალიბდეს ქალთა მიმართ ძალადობის ინსტიტუციური და მარეგულირებელი ჩარჩო. ქვემოთ მდებარე ცხრილში განსაზღვრულია თითოეული მოქმედი სუბიექტი, რომელსაც განსაზღვრული ვალდებულებები აკისრია ქალთა მიმართ ძალადობის მართვაში.



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

- სამედიცინო დაწესებულებების (ჯანმრთელობის დაცვის პერსონალი) საქმიანობის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა, რომელიც მოიცავს მათ მიერ ძალადობის ფაქტის გაანალიზების, გამოვლენის, დოკუმენტირების, გადაუდებელი მხარდაჭერისა და რეფერირების საკითხებს.
- შშმ პირთა ინსტიტუციებში, სათემო ორგანიზაციებში, თავშესაფრებში, მინდობით აღზრდასა და მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, იდენტიფიცირებისა და რეაგირების მექანიზმების შემუშავება.

სსიპ - სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო

- მსხვერპლთა/დაზარალებულთა თავშესაფრით, კრიზისული ცენტრის ან/და სხვა მსგავსი ტიპის დაწესებულების მომსახურებებით უზრუნველყოფა
- ქალთა მიმართ ძალადობის ან /და ოჯახში ძალადობის დანაშაულზე დაზარალებულად ცნობილი პირისთვის კომპენსაციის გაცემა.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები

- ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტის პირველადი იდენტიფიკაცია და ძალადობის მსხვერპლის გამოვლენა,
- მსხვერპლთა ინფორმირება-კონსულტირება უფლებების, დაცვისა და დახმარების მექანიზმების თაობაზე,
- უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ მსხვერპლთა მხარდაჭერისა და თანადგომის ღონისძიებების განხორციელება

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო

- სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ მოწყვლადი ჯგუფების ოჯახებში განხორციელებული ვიზიტის დროს, ოჯახებისათვის საინფორმაციო მასალის მიწოდება ქალთა მიმართ ძალადობის ან /და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მექანიზმების, მათ შორის, საკონსულტაციო და გადაუდებელი დახმარების ცხელი ხაზების თაობაზე.

სამედიცინო სერვისის მიმწოდებლები (ჯანმრთელობის დაცვის პერსონალი)

- პაციენტის მიმართ ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში და/ან პაციენტის მიერ მის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტის იდენტიფიცირების შემთხვევაში, ადგილზე შემთხვევის გაანალიზება, პირველადი იდენტიფიკაცია, დოკუმენტირება, გადაუდებელი მხარდაჭერა, საჭიროების შემთხვევაში რისკის შეფასება, შეტყობინება და რეფერირება

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და საგანმანათლებლო დაწესებულებები

- საგანმანათლებლო დაწესებულებაში მყოფ პირებზე ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ადგილზე შემთხვევის გაანალიზება და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების ინფორმირება აღნიშნულ პირთა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური

- ოჯახში ძალადობის ან/და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლისათვის იურიდიული კონსულტაციის გაცემა, მათ შორის, სატელეფონო (1485) და ონლაინ კონსულტაცია, სამსახურის აპლიკაციის საშუალებით .

მუნიციპალიტეტები

- ქალთა მიმართ ძალადობის ან /და ოჯახში ძალადობის ფაქტის იდენტიფიცირება და მასზე შესაბამის რეაგირება.
- ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ღონისძიებები განხორცილება, თუ ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება არ არის.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია და მსხვერპლთა დახმარება ან დაცვა არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას, თუმცა მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების მიხედვით[7], მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება და აკრძალული არ არის კანონით. მაგალითად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს ღონისძიებები გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიმართულებით. შესაბამისად, მუნიციპალიტეტების უშუალო უფლებამოსილებების სფეროს არ მიეკუთვნება ქალთა მიმართ ძალადობის საკითხზე რეაგირება. მათ მიერ განხორციელებული ქმედებები შეიძლება ატარებდეს მხოლოდ თანამშრომლობით და შემავსებელ ხასიათს სხვა უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებთან ერთად. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებებსა და ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ღონისძიებები ხორციელდება საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.[8]

ამდენად, ძალადობის წინააღდეგ პრევენციული ღონისძიებები, რომელსაც მუნიციპალიტეტი ახორციელებს და ასევე, სოციალური სერვისები, რომელსაც მუნიციპალიტეტი ძალადობის მსხვერპლ ქალებს უწევს აღნიშნული რეგულაციის ქვეშ ექცევა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრული სოციალური სერვისები ვერ ფარავს ძალადობის მსხვერპლი ქალების სრულ საჭიროებებს და ამდენად, მუნიციპალიტეტებს უმნიშვნელოვანესი როლი აკისრიათ, მაგალითად, მსხვერპლთა საცხოვრისით უზრუნველყოფის კუთხით. წინამდებარე კვლევაში გაანალიზებული იქნება კვლევას დაქვემდებარებული მუნიციპალიტეტების მიერ ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის განსაზღვრული სოციალური სერვისები. ასევე, აღსანიშნავია მუნიციპალიტეტებს განსაკუთრებული როლი ძალადობის პრევენციის მიმართულებით, ვინაიდან ხალხთან ყველაზე ახლოს მდგომი ხელისუფლებაა და ადგილობრივი და ეფექტური რეაგირების პრივილეგია აქვს. ქალთა მიმართ ძალადობის კვლევის შესაბამისად, სოფლად მცხოვრები ქალები პარტნიორების ან არაპარტნიორების მხრიდან ძალადობის განსაკუთრებული რისკის ქვეშ არიან.[9] სწორედ ამიტომ, პრევენციულ ღონისძიებებში ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენელების ჩართვა არსებითად მნიშვნელოვანია.

---

[7] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

[8] ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონი

[9] საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა, 2022 წელი.

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტებს აქვთ დელეგირებული უფლებამოსილებები „სოციალური მუშაობის შესახებ “ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ “ ქვეპუნქტის შესაბამისად. მუნიციპალიტეტები ახორციელებენ ქალთა მიმართ ძალადობის ან /და ოჯახში ძალადობის ფაქტის იდენტიფიცირებას და მასზე შესაბამის რეაგირებას. სოციალური მუშაობის შესახებ საქართველოს კანონის 56-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ მუნიციპალიტეტის მიერ საკუთარ სამოქმედო ტერიტორიაზე გატარებული სოციალურ მუშაობა გულისხმობს მათ შორის, ძალადობის მსხვერპლთა აქტიურ იდენტიფიცირებას, მათი საჭიროებების განსაზღვრასა და შეფასებას, პრობლემის იდენტიფიცირებას და შესაბამისი დაწესებულებისთვის ინფორმაციის მიწოდებას. როდესაც აუცილებელია საფრთხის თავიდან აცილება, ამის შესახებ მუნიციპალიტეტის სოციალური მუშაკი შესაბამის ორგანოს დაუყოვნებლივ ატყობინებს და ასევე, ძალადობის მსხვერპლებს შესაბამისი სოციალური, სამედიცინო, შეღავათიანი მომსახურებების თაობაზე ინფორმაციის აწვდის და ხელს უწყობს მათში ჩართვას. სოციალური მუშაობის ჩატარება არის მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული უფლებამოსილება, რომლის განხორციელებაზე დარგობრივ ზედამხედველობას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ახორციელებს. სოციალურ მუშაობას კოორდინაციას და ადმინისტრირებას უწევს მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეული. მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე უზრუნველყოფილ იქნეს სოციალური მუშაობის ყველა მოქალაქისათვის ხელმისაწვდომობა. ამდენად, რომ შევაჯამოთ, მუნიციპალიტეტის სოციალურ მუშაკს ძალადობის შეტყობის ფაქტის დროს აქვს ვალდებულება მიმართოს შესაბამის ორგანოებს, კერძოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს და სსიპ ზრუნვის სააგენტოს. ასევე, მუნიციპალიტეტებს სოციალური მუშაობის დროს ევალებათ, ძალადობის სავარაუდო მსხვერპლს მიაწოდონ ინფორმაცია სოციალური, სამედიცინო შეღავათიანი მომსახურებების თაობაზე.

აქვე აღსანიშნავია, რომ მსგავსად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსი, ადრეული აღზრდის დაწესებულებაში მყოფ პირებზე ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ადგილზე შემთხვევის გაანალიზება და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების ინფორმირება მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობაა.

მომდევნო თავში განხილულ იქნება, მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებული ან/და დაგეგმილი ღონისძიებები ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის და მართვის მიმართულებით, რომელშიც გაერთიანებული იქნება ფოკუს-ჯგუფების შედეგად გამოვლენილი მიგნებები, სახელმწიფო ორგანოებიდან და მუნიციპალიტეტიდან გამოთხოვილი ადმინისტრაციული მონაცემები და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების ანალიზი.

3.2 ინსტიტუციური ჩარჩო და ქალთა ოთახების როლი ქალთა მიმართ ძალადობის მიმართულებით

გენდერულ თანასწორობაზე და მათ შორის, ქალთა მიმართ ძალადობის მიმართულებით მუნიციპალიტეტებში შემდეგი ინსტიტუციური მოწყობა არსებობს: მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილია გენდერული თანასწორობის საბჭო. საბჭოს დანიშნულებად კანონმდებელი გენდერული თანასწორობის საკითხებზე სისტემატიურ მუშაობასა და პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობას ხედავს. მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურეს როლი არის შეისწავლოს გენდერული თანასწორობის საკითხები, დაგეგმოს განსახორციელებელი საქმიანობები და შემდგომ მათ შესრულებას გაუწიოს კოორდინაცია.

ქალთა ოთახების სტრუქტურაზე და ფუნქციებზე ჩანაწერი არც საკანონმდებლო და არც კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში არ გვხდება, გარდა ბოლნისის და ბორჯომის მუნიციპალიტეტების საკრებულოს დადგენილებებისა. თუმცა პრაქტიკამ ცხადყო, რომ გენდერული თანასწორობის მიღწევის საქმეში მათ უმნიშვნელოვანესი როლი აკისრიათ ადგილობრივ დონეზე. ქალთა ოთახების საქმიანობა მიიჩნევა, მუნიციპალურ სერვისად, რომელსაც ადგილზე მერიის თანამშრომლები გასცემენ. ის არის მერიის, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ინსტიტუციის ნაწილი. ამ სივრცეში შესაძლებელია ისეთი სერვისების მიღება, როგორიცაა კონსულტაციები მუნიციპალურ პროგრამებსა და საქმიანობაზე, კონსულტაციის გაწევა სახელმწიფო პროექტების - „აწარმოე საქართველო“, „დანერგე მომავალი“ და სხვათა შესახებ; ამ პროექტებში ჩართულობის ხელშეწყობა; ბიზნეს-გეგმების მომზადებაში ტექნიკური დახმარება, ქალთა დასაქმების ხელშეწყობა; პოტენციურ დამსაქმებლებთან სამუშაოს მაძიებელი ქალების დაკავშირება; ტექნიკური მხარდაჭერის გაწევა CV-ის და სამოტივაციო წერილის მომზადებაში, მუნიციპალური და სახელმწიფო სერვისების მისაღებად რეგისტრაციაში დახმარება, საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტ ქალთა სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმირება და სხვადასხვა აქტივობებში ჩართულობის ხელშეწყობა, „ქალთა ოთახის“ კომპიუტერითა და ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობა ნებისმიერი ვიზიტორისთვის; „ქალთა ოთახში“ მოწყობილი ბავშვთა კუთხით სარგებლობის შესაძლებლობა; „ქალთა ოთახში“ არასამთავრობო ორგანიზაციების, საინიციატივო ჯგუფებისა და მეწარმეების მიერ შეხვედრების ორგანიზების შესაძლებლობა. ქალთა ოთახის მენეჯერები ჩართული არიან ისეთ საქმიანობებში, რომელიც არის გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურეს ფუნქციებში, მაგალითად როგორიცაა, სხვადასხვა საგანმანათლებლო და საინფორმაციო კამპანიების ჩატარება სოფლად და ქალების ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებების, ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ და ქალებისა და მამაკაცების თანაბარი მონაწილეობას ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილების

მიღების პროცესში. ზოგიერთ მუნიციპალიტეტში მერიაში გენდერზე პასუხისმგებელ პირს აქვს დაკისრებული „ქალთა ოთახის“ მენეჯერის ფუნქციაც, რაც ცხადია დამატებით წნეხს წარმოადგენს.[10]

ამრიგად, ქალთა ოთახის ფუნქციების და სტრუქტურის ერთიანი სისტემატიზაცია პროცესშია და ამ ეტაპზე მათ სხვადასხვა გამოცდილებები გააჩნიათ. ქალთა ოთახებს, როგორც მუნიციპალურ სერვისს განსაკუთრებული როლი აქვს მათ შორის ქალთა მიმართ ძალადობის წინააღდეგ ბრძოლის მიმართულებით.

4. მუნიციპალიტეტების მიერ ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია და მართვა

4.1 მუნიციპალიტეტების მიერ განსაზღვრული სოციალური სერვისები

კვლევის ფოკუსად იდენტიფიცირებულ 15 მუნიციპალიტეტებიდან 12 მათგანს გათვალისწინებული აქვს სხვადასხვა სოციალური პროგრამები ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის. ხოლო ყვარელის, დედოფლისწყაროს და ონის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში მსგავსი პროგრამები არ იძებნება. სოციალური პროგრამებიდან ყველაზე ხშირად გვხვდება ერთჯერადი ან ყოველთვიური ფულადი დახმარება და ბინის/საცხოვრისის ქირით უზრუნველყოფის სოციალური პროგრამები.

12 მუნიციპალიტეტს შემდეგი სოციალური პროგრამები აქვთ განსაზღვრული ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის:

<u>თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი</u>

ერთჯერადი ფულადი დახმარება, 1000 ლარი, განსაზღვრულია თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირისთვის.

<u>წალკის მუნიციპალიტეტი</u>

წალკის მუნიციპალიტეტს ძალადობის მსხვერპლი განსაზღვრული ჰყავს სოციალური დაცვის პროგრამის ბენეფიციარად.

<u>ბოლნისის მუნიციპალიტეტი</u>

ბინის ქირა არაუმეტეს 200 (ორასი) ლარის ოდენობით ყოველთვიურად უნაზღაურდებათ: „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა

[10] პარლამენტის მუდმივმოქმედი გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა და რეკომენდაციები „გენდერული თანასწორობისა და ქალთა მხარდაჭერის სივრცის“ (ქალთა ოთახი) ინსტიტუციური გაძლიერებისთვის

დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულ მსხვერპლებს.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ერთჯერადი მატერიალური დახმარებით, 300 (სამასი) ლარის ოდენობით უზრუნველყოფენ ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრულ მსხვერპლებს.

<u>მარნეულის მუნიციპალიტეტი</u>

მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ძალადობის მსხვერპლ ქალს, რომელსაც ყავს არასრულწლოვანი შვილი/შვილები ფინანსური მხარდაჭერა გაეწევა კალენდარული წლის განმავლობაში 3 თვის ვადით, 300 ლარის ოდენობით, რომელზეც განხორციელდა ძალადობრივი აქტი და მტკიცდება შესაბამისი დოკუმენტაციით.

<u>გარდაბანი:</u>

გარდაბნის მუნიციპალიტეტს განსაზღვრული არ აქვს კონკრეტული პროგრამა ძალადობის მსხვერპლი ქალისთვის, თუმცა მათ აქვთ მხოლოდ ძალადობის მსხვერპლი დედებისთვის პროგრამა. კერძოდ, ძალადობის მსხვერპლი ქალი თუ არის „ბავშვის უფლებების და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარი, მისთვის განსაზღვრულია სხვადასხვა სოციალური სერვისები. 24 სოციალური პროგრამიდან, რომელიც მუნიციპალიტეტში ხორციელდება 17 მათგანში მოსარგებლე არის „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარი. მაგალითად, უსახლკაროდ დარჩენილი „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა; ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა, თითოეული არასრულწლოვანისათვის 100 (ასი) ლარის ოდენობით; ბავშვთა კვების უზრუნველყოფისათვის თვეში 150 ლარის ოდენობით დახმარება, ზამთრის დადგომასთან დაკავშირებით (იანვარი, თებერვალი, ნოემბერი, დეკემბერი) გათბობის უზრუნველსაყოფად ფინანსური დახმარება, თვეში 50 ლარის ოდენობით; საოპერაციო, სამკურნალო და სხვა სამედიცინო მომსახურეობის დაფინანსებას, რომელიც არ იმყოფება სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში, მაგრამ განიცდის ეკონომიურ გასაჭირს.

<u>თელავი</u>

თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ძალადობის მსხვერპლს პირებს, ვისაც აქვთ საცხოვრებლად გამოუყენებელი ბინები, სადაც ცხოვრება საფრთხეს უქმნის მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ან საერთოდ არ გააჩნიათ საცხოვრებელი, უზრუნველყოფილი იქნება ბინის ქირით თვეში 120 ლარის ოდენობით.

<u>ახმეტა</u>

ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლი პირების ერთჯერადი დახმარება 500 ლარის ოდენობით არის განსაზღვრული. ძალადობის მსხვერპლი პირების ბინის ქირით უზრუნველყოფისთვის ყოველთვიურად

არაუმეტეს 200 ლარის ოდენობით თანხა არის გამოყოფილი მთელი წლის მანძილზე. ასევე, მუნიციპალიტეტში განსაზღვრულია კრიზისულ სიტუაციებში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარება წელიწადში ერთხელ, არაუმეტეს 1000 ლარისა.

<u>სიღნაღი</u>

დახმარება ყოველთვიურად, ბინის ქირის გადახდის სახით თვეში არაუმეტეს 200 ლარის ოდენობით გაეწევა სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ უსახლკარო ძალადობის მსხვერპლ ოჯახებს. ასევე, განსაზღვრულია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარება ტექნიკით უზრუნველყოფით, ერთ წლამდე ასაკის ბავშვებისთვის ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა. თავშესაფარში შესვლამდე და თავშესაფრის დატოვების შემდეგ სიღნაღის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში მყოფ პირს/ოჯახს, თავშესაფრის დატოვების შემდეგ დამოუკიდებელი ცხოვრებისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით გაეწევა მატერიალური დახმარება 6 თვის განმავლობაში ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით.

<u>საგარეჯო</u>

მუნიციპალიტეტში მოქმედებს ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა და ძალადობის ან/და ტრეფიკინგის მსხვერპლთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის, ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა. დახმარება განისაზღვრება თითოეულ კატეგორიაზე 105.27 ლარით. ქირით უზრუნველყოფა გაიცემა ექვსი თვის განმავლობაში.

<u>ლაგოდეხი:</u>

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მოქმედებს სოციალური მიზნების მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს ოჯახში ძალადობის მსხვერპლის ჩართულობას ასეთ პროექტებში. ასევე, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხორციელდება სოციალური საწარმოების განვითარების ხელშეწყობა. კერძოდ, ქვეპროგრამის ფარგლებში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსებას იღებს ყველა ის ორგანიზაცია, რომელიც საკუთარი სახსრებით ან დონორი ორგანიზაციებიდან გრანტის მიღების გზით, მოახდენს წილობრივ დაფინანსებას და, პროექტის განხორციელებით, ხელს შეუწყობს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ერთჯერადი ფულადი დახმარების მიმღები არის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ამავდროულად ფაქტობრივად მაცხოვრებელი ოჯახები, კერძოდ, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირებს გაეწევათ ერთჯერადი ფულადი დახმარება - 500 ლარის ოდენობით; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში საცხოვრებლად უვარგისი სახლების მქონე ოჯახების დროებითი თავშესაფრით

უზრუნველყოფის ფარგლებში, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ძალადობის მსხვერპლ ქალებს უნაზღაურდებათ ბინის ქირის გადახდა თვეში არაუმეტეს 200 ლარისა.

<u>გურჯაანი</u>

მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში ახორციელებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარებას და სხვადასხვა შეღავათებით უზრუნველყოფას, მათ შორის დახმარებების გაცემას ძალადობის მსხვერპლებისათვის. სოციალური პროგრამის ქვეპროგრამაში ძალადობის სტატუსის მქონე ქალებისთვის გათვალისწინებულია ბინის ქირით უზრუნველყოფა 300 ლარის ოდენობით და ასევე ფულადი ერთჯერადი დახმარება 200 ლარის ოდენობით.

<u>ზესტაფონი</u>

„ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის“ პროგრამის ფარგლებში დახმარება განსაზღვრულია 200 ლარის ოდენობით. პროგრამა ითვალისწინებს „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მოქალაქისათვის, რომელსაც მსხვერპლის სტატუსი განესაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ან/ და სასამართლოს ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელ უწყებათაშორის საბჭოსთან არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფი მიერ. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში /თავშესაფარში/ მყოფ პირს /ოჯახის/ თავშესაფრის დატოვების შემდეგ დამოუკიდებელი ცხოვრებისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით გაეწევა დახმარება 100 ლარის ოდენობით ყოველთვიურად.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს ბინის ქირით უზრუნველყოფს ბოლნისის, გარდაბნის, თელავის, ახმეტის, სიღნაღის, საგარეჯოს, ლაგოდეხის, გურჯაანის და ზესტაფონის მუნიციპალიტეტი. ერთჯერადი თანხით დახმარება უზრუნველყოფილი აქვს თეთრიწყაროს, ბოლნისს, გარდაბანს, ახმეტას, ლაგოდეხსა და გურჯაანს. ხოლო ყოველთვიური ფულადი დახმარების პროგრამა გათვალისწინებული აქვს მარნეულს, გარდაბანს, სიღნაღს და ზესტაფონს. განსხვავებული სოციალური პროგრამები, რასაც მუნიციპალიტეტები უზრუნველყოფენ არის შემდეგი, ზამთრის თვეებში გათბობის უზრუნველყოფისათვის ფინანსური მხარდაჭერა, სამედიცინო და სამკურნალო მომსახურების დაფინანსება, 1 წლამდე ბავშვებისათვის ხელოვნური საკვებით უზრუნველყოფა, საჭირო ტექნიკის შეძენა, ორგანიზაციებისთვის გრანტების გადაცემა პროექტებისთვის, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის ძალადობის მსხვერპლი ქალების, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

აღსანიშნავია, რომ ზოგადად სოციალურ სერვისებზე საკვლევ მუნიციპალიტეტებს შორის ბიუჯეტის ყველაზე დიდ წილს ხარჯავს ლაგოდეხი (15%) და ბოლნისი (12%). შემდგომ მოდის

ზესტაფონი და ახმეტა 7%-იანი დანახარჯით, გარდაბანი და თელავი 6%-ით, გურჯაანი, დედოფლისწყარო, სიღნაღი, ყვარელი 5%-ით, მარნეული და საგარეჯო 4%-ით, თეთრიწყარო და წალკა 3%-ით და ონი 2% დანახარჯით.

4.2 მუნიციპალიტეტების მიერ ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები

მუნიციპალიტეტები პრევენციულ აქტივობებს განსაკუთრებით ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში ახორციელებენ. ღონისძიებებს შორისაა ესეების, ნახატების კონკურსი, აქცია-პერფორმანსები. აღნიშნულ თავში ასახული იქნება, ის ღონისძიებები, რომლებიც მუნიციპალიტეტებმა 2023 წელს პრევენციის მიმართულებით განახორციელეს.

<u>გარდაბნის მუნიციპალიტეტი</u>

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 14 ადმინისტრაციული ერთეულიდან 6 ადმინისტრაციულ ერთეულში, ქალთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირების მიმართულებით ცნობადობის ამაღლების ტრენინგები და შეხვედრები ჩაატარა. 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში გარდაბნის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით გამოცხადდა ესეებისა და ნახატების კონკურსი სკოლის მოსწავლეებისთვის, რომელის თემატიკა იყო: ესეების კონკურსის - „პატივისცემა არის...“, ხოლო ნახატების - „არ იძალადო, იზრუნე“. კონკურსის ფარგლებში, 32 ესე და 90-მდე ნახატი შეიქმნა. მუნიციპალიტეტის კულტურის სახლში კონკურსის ფარგლებში შექმნილი ნახატების გამოფენა მოეწყო.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენობის წინ პერფორმანსი მოეწყო. პერფორმანსში მონაწილეობა მიიღეს გარდაბნის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა, „ქალთა ოთახის“ მენეჯერმა და ესეების კონკურსის მონაწილე მოსწავლეებმა. გამოსახეს კამპანიის ლოგო და კამპანიის მესიჯები: “ძალადობა დასაგმობია, ძალადობის დროს დუმილი გაუმართლებელია!” ოჯახში ძალადობის, ნაადრევი ქორწინების საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით გარდაბნის „ქალთა ოთახი" მჭიდროდ თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებთან ტრენინგების ჩატარების მიმართულებით.

მერის წარმომადგენლებს მიეწოდათ საინფორმაციო მასალა, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მექანიზმების, მათ შორის, საკონსულტაციო და გადაუდებელი დახმარების ცხელი ხაზების თაობაზე. „ქალთა ოთახი“ კომპეტენციის ფარგლებში ძალადობის მსხვერპლ ქალებს აწვდის ინფორმაციას, თუ როგორ უნდა დარეკონ ცხელ ხაზზე და რომელ უწყებას უნდა მიმართონ.

<u>თელავის მუნიციპალიტეტი</u>

თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო და საინფორმაციო საკონსულტაციო სერვისი ,,ქალთა ოთახი“ 2018 წლიდან ერთობლივად მართავს საინფორმაციო კამპანიებს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის მიზნით. საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა მუნიციპალიტეტის სოფლებში მერის წარმომადგენლებთან, სპეციალისტებთან და მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მენეჯერებთან ძალადობის ფორმებისა და დაცვის მექანიზმებზე. შეხვედრების დროს ინფორმაცია მიეწოდათ ძალადობის სახეების, ძალადობისაგან დამცავი მექანიზმებისა და მუნიციპალიტეტში არსებული სერვისების შესახებ. ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში 2023 წელს სოფელ ყარაჯალის საჯარო სკოლაში ჩატარდა მხატვრული კითხვის კონკურსი. კონკურსის მონაწილეებმა ძალადობის თემაზე შექმნილი მსოფლიო ბესტსელერებიდან ამონარიდები წაიკითხეს და ძალადობის ფორმებზე ისაუბრეს.

<u>სიღნაღის მუნიციპალიტეტი</u>

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებულ კამპანიებს და უზრუნველყოფს მათ ინფორმირებულობას სახელმწიფოში არსებული დამცავი მექანიზმების შესახებ. ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიამ განათავსა საინფორმაციო პოსტი სოციალურ ქსელში, რათა გამოეხატა თავისი პოზიცია ძალადობის ფაქტების მიმართ, ასევე მოსწავლეებისთვის მოეწყო ქალთა მიმართ ძალადობის თემატიკასთან დაკავშირებული მხატვრული ფილმის ჩვენება. 2023 წელს მუნიციპალიტეტის მერიისა და შსს-ს ურთიერთანამშრომლობით ჩატარდა შეხვედრა სკოლის მასწავლებლებთან და ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლებთან ადრეულ ქორწინებასთან დაკავშირებით.

<u>ონის მუნიციპალიტეტი</u>

რაიონული პროკურატურის წარმომადგენლებმა, ფემიციდის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიის ფარგლებში, საინფორმაციო შეხვედრა გამართეს ონის მუნიციპალიტეტის მერიაში. კამპანიის მიზანი იყო ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ფემიციდის დანაშაულის პრევენცია.

16 დღიანი კამპანიის ფარგლებში, საჯარო სკოლის მე-10 კლასელებთან ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით ასევე მოეწყო პერფორმანსი „მოლაპარაკე ფეხსაცმელი“. ამ ფორმით ღონისძიების ორგანიზატორები შეეცადნენ ხმამაღლა მოეყოლათ ამბები, იმ ქალებისა, რომელთა უფლებები დარღვეულია. თითოეული ქალის ფეხსაცმელი ჰყვება რეალურ ისტორიას. ეს ქალები ჩვენს გვერდით ცხოვრობენ, თუმცა ხმამაღლა ვერ ჰყვებიან თავიანთი მდგომარეობის შესახებ. ამ ფორმით, თვალნათლივ დაინახეს ახალგაზრდებმა, რა წნეხს განიცდის ძალადობის მსხვერპლი ქალი.

ონის მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახში გაიმართა არასამთავრობო ორგანიზაციის „ერთად რეალური ცვლილებებისთვის“ შეხვედრა, რომლის დროსაც დამსწრე საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია ადრეულ ასაკში სექსუალური განათლების შესახებ.

<u>გურჯაანის მუნიციპალიტეტი</u>

გურჯაანის მუნიციპალიტეტის ,,ქალთა ოთახს“ და გენდერული თანასწორობის საბჭოს ჩატარებული აქვს საინფორმაციო ხასიათის 50-მდე შეხვედრა ადმინისტრაციულ ერთეულებში, საჯარო სკოლებში, სკოლამდელ დაწესებულებებში და საჯარო სექტორში. შეხვედრებზე მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია გენდერულ თანასწორობაზე, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციაზე, ძალადობის წინააღმდეგ სახელმწიფო სერვისებზე, მერიის სოციალურ პროგრამებზე მათი უფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროული გამოვლენისა და მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად ქალთა ოთახი ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს. მოსახლეობას საინფორმაციო ბროშურების საშუალებით აწვდიან ინფორმაციას ძალადობის სახეების, დამცავი მექანიზმების და იმ სახელმწიფო სტრუქტურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ ვინც ჩართულები არიანი ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის დირექტორებს და სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების მენეჯერებს მიეწოდა ინფორმაცია გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის შესახებ. სოფელ ჯაჭრეთის, შაშიანის, ჩუმლაყის და ველისციხის საჯარო სკოლებში გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზებით და სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით გაიმართა ფორუმ თეატრი ,,ძალადობა დანაშაულია“ ღონისძიებას ესწრებოდნენ სკოლის მოსწავლეები. პედაგოგები და მოსწავლეები ,,ქალთა ოთახის“ წარმომადგენლებმა ქ. გურჯაანის ქუჩებში მოსახლეობას დაურიგეს საინფორმაციო ბროშურები ,,შეაჩერე ქალთა მიმართ ძალადობა“.

ადგილობრივი რესურსცენტრის ჩართულობით სისტემატიურად იმართება შეხვედრები საჯარო სკოლის უფროსკლასელებთან თემებზე: ნაადრევი ქორწინება, გენდერული თანასწორობა, ბულინგი, ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობა (ჯამში გაიმართა ოცამდე შეხვედრა). მერის წარმომადგენლები ქალთა ოთახის და გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ ადმინისტრაციულ ერთეულებში დაგეგმილ შეხვედრებში აქტიურად არიან ჩართულები და ახდენენ მოსახლეობის ინფორმირებულობას.

<u>ბოლნისის მუნიციპალიტეტი</u>

ბოლნისის მერიამ შექმნა ახალი პროგრამა „გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა“, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება საინფორმაციო შეხვედრები, მრგვალი მაგიდები, კონფერენციები და ტრენინგები, ქალთა საჭიროებებზე მორგებულ საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე. პროგრამისთვის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებულია 15 000 ლარი.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიაში, სოფელ ნახიდურის ახალგაზრდულ სათემო ცენტრში და სოფელ ბოლნისში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებმა, ასევე სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს თანამშრომლებმა ცნობიერების ასამაღლებელი საინფორმაციო შეხვედრა გამართეს. შეხვედრაზე ძალადობა გამოვლილი ადამიანებისთვის დახმარების გაწევასა და უკვე არსებულ სერვისებზე ისაუბრეს.

16 დღიანი კამპანიის ფარგლებში ბოლნისის მერიამ გამოაცხადა მოსწავლე-ახალგაზრდებისთვის ესეებისა და პოსტერების კონკურსი სახელწოდებით ,,არა ძალადობას“, გამოვლინდა ოთხი გამარჯვებული, რომლებიც დაჯილდოვდნენ შესაბამისი სიგელებით და სასაჩუქრე ვაუჩერებით.

<u>მარნეულის მუნიციპალიტეტი</u>

მერია აქტიურად არის ჩართული ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის ხელმისაწვდომი რესურსების შესახებ საზოგადოებისთვის სასიცოცხლო ინფორმაციის გავრცელებაში. ეს მოიცავს საგანმანათლებლო მასალებს ძალადობის პრევენციის, დაცვის მექანიზმებისა და დახმარების გზების შესახებ, ასევე საკონსულტაციო სერვისებზე და სასწრაფო დახმარების ცხელ ხაზებზე წვდომას.

2023 წელს მარნეულის რაიონულმა პროკურატურამ, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკოორდინაციო დეპარტამენტთან და ქალთა ოთახთან თანამშრომლობით, 11 ადმინისტრაციულ ერთეულში ჩაატარა კომპლექსური ტრენინგები. ეს ტრენინგები სპეციალურად შექმნილი იყო ქალთა მიმართ ძალადობის კრიტიკული საკითხის გადასაჭრელად და მიზნად ისახავდა პრევენციის სტრატეგიების გაცნობას.

მარნეულში 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში ყოველ წელს აღინიშნება ღონისძიებები. გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტთან ურთიერთთანამშრომლობით ჩატარდა შეხვედრები 16 სკოლაში ადრეული ქორწინებისა და მასთან დაკავშირებული რისკების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით.

<u>ახმეტის მუნიციპალიტეტი</u>

ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის მიზნით მუნიციპალიტეტის მასშტაბით 2023 წელს 39 ღონისძიება ჩატარდა ტრენინგების, შეხვედრების, სხვადასხვა სპორტულ და კულტურულ ღონისძიებების, ფილმის ჩვენების, დისკუსიების გამართვის სახით. ეს ღონისძიებები ხელს შეუწყობს ქალებისა და კაცების სოციალური და კულტურული ქცევის, მცდარი წარმოდგენებისა და ტრადიციების აღმოფხვრას, რომლებიც უარყოფით გენდერულ სტერეოტიპებს ეყრდნობა. ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის და გენდერული თანასწორობის აქტივობების განხორციელების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განსაზღვრულია თანხა 20500 ლარის ოდენობით.

პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში მოეწყო ფილმის ჩვენება ,,სორაიას ჩაქოლვა'', შემდგომ კი გაიმართა დისკუსია. სკოლის მოსწავლეებთან და სამოქალაქო განათლების პედაგოგებთან ჩატარდა ტრენინგები გენდერული თანასწორობის მიმართულებით. პანკისის ხეობაში საბავშვო ბაღის პედაგოგებთან გენდერული თანასწორობის საკითხებზე ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები (ომალო, ბირკიანი, ყვარელწყალი). გენდერული თანასწორობის საბჭოსთან ერთად ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ თემში. დარიგდა ცხელი ხაზის ნომრები და საინფორმაციო ბუკლეტები. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად თანამშრომლობით ჩატარდა ბავშვობის ასაკში ქორწინების წინააღმდეგ მიმართული კამპანია, სახელწოდებით, „ნუ წაართმევ ბავშვობას“, შეხვედრას ესწრებოდნენ სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგები, მანდატურები და მაღალი კლასის მოსწავლეები.

<u>ყვარლის მუნიციპალიტეტი</u>

ყვარლის მუნიციპალიტეტს ბიუჯეტი არ აქვს გამოყოფილი ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებისთვის. საგანანმანათლებლო რესურსს ცენტრთან თანამშრომლობით ხორციელდება ღონისძიებები ადრეულ ქორწინებასთან დაკავშირებით. მერიის წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართულები ძალადობის ან და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების შემთხვევაზე. ყვარლის მუნიციპალიტეტს აქვს სოციალურ მომსახურების სააგენტოსთან თანამშრომლობით ძალადობის მსხვერპლი ქალების დასაქმების გამოცდილება.

<u>ზესტაფონის მუნიციპალიტეტი</u>

16 დღიანი კამპანიის ფარგლებში მუნიციპალიტეტმა ჩაატარა რამდენიმე საინფორმაციო შეხვედრა, მუნიციპალიტეტის თანამშრომლებთან და მუნიციპალიტეტში მოქმედ ახალგაზრდულ საბჭოს წევრებთან. გაერთიანებული შეხვედრა ჩატარდა უფროსკლასელ მოსწავლეებთან, ამ შეხვედრაზე მოწვეული იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, რომელიც სპეციალიზებულად არასრულწლოვანებთან მუშაობს. ასევე, შეხვედრას ესწრებოდნენ სხვადასხვა პროფილის ადვოკატები. შეხვედრაზე განსახილველი საკითხი იყო ძალადობა, მშობლებთან ურთიერთობა, სქესის ნიშნით დისკრიმინაცია და სახელმწიფოს როლი უფლებების დაცვის ნაწილში. ასევე, ახალგაზრდულმა საბჭომ ჩაატარა ფორუმ-თეატრი ნაადრევ ქორწინებასთან დაკავშირებით. ძალადობის შემთხვევაში ცხელი ხაზის ნომერს და სხვა ინფორმაციას თემის სოციალური მუშაკი აწვდის ოჯახებს და ასევე, ეს ინფორმაცია განთავსებული ადმინისტრაციულ შენობებში.

ამრიგად, მუნიციპალიტეტებს აქვს განსხვავებული პრაქტიკა ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის აქტივობების მიმართულებით. ეწყობა ესეების, პოსტერების და ნახატების კონკურსები, აქცია/პერფორმანსები, დისკუსია და ფილმის ჩვენება, მოსწავლეებთან შეხვედრები, მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა ტრენინგ-შეხვედრები და ასევე ძალოვანი უწყებების მონაწილეობით გამართული შეხვედრები. ძალადობის პრევენციისათვის ქალთა მიმართ ძალადობის ცხელი ხაზის ნომერს და სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციას მერის

წარმომადგენელების, ან მათი თანაშემწეების მეშვეობით ავრცელებს მუნიციპალიტეტი მოსახლეობაში. უმჯობესი იქნება აღნიშნული პრაქტიკის სისტემატიზაცია მოხდეს და ამისთვის უმნიშვნელოვანესია ამ კვლევის ანგარიშის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულება.

5. გამოვლენილი გამოწვევები და შესაბამისი რეკომენდაციები

კვლევის ფარგლებში გამოვლენილი გამოწვევები და რეკომენდაციები დაჯგუფებულია შემდეგი მიმართულებით: ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის სოციალური სერვისები, მუნიციპალიტეტის მიერ პრევენციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები, მუნიციპალიტეტის ინსტიტუციური გაძლიერება, მუნიციპალიტეტების თანამშრომლობა სხვა სახელმწიფო უწყებებთან.

5.1 ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის სოციალური სერვისები

კვლევის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მიერ სოციალური სერვისებით უზრუნველყოფის ნაწილში გამოვლინდა შემდეგი გამოწვევები:

<u>**გარკვეული მუნიციპალიტეტები სოციალური სერვისებით სარგებლობისთვის ძალადობის მსხვერპლი ქალებს სთხოვენ ძალადობის მსხვერპლის სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტს.**</u>

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტების უმეტესობა არ არის ინფორმირებული კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე, კერძოდ, 2022 წლის 22 დეკემბრამდე მოქმედებდა რეგულაცია, რომ მსხვერპლ ქალად მიიჩნეოდა ქალი, რომელსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, სასამართლო ორგანომ ან/და გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებულმა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა. კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების შემდგომ კი, მსხვერპლი არის ქალი რომლის კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები დაირღვა უგულებელყოფით ან/და ფიზიკური ძალადობით, ფსიქოლოგიური ძალადობით, ეკონომიკური ძალადობით, სექსუალური ძალადობით ან იძულებით. მსხვერპლად აღიარებისთვის სტატუსის განსაზღვრა აღარ მოითხოვება. კანონმდებელი აღნიშნული ცვლილების კანონის პროექტის განმარტებით ბარათში უთითებს, გამოწვევად რჩება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის მიერ მხარდაჭერის მომსახურებების, მათ შორის, თავშესაფრის, ხელმისაწვდომობა. აღსანიშნავია, რომ მსხვერპლის სტატუსის არსებობა პირდაპირ კავშირშია სახელმწიფო სერვისებით

სარგებლობასთან, ხოლო სახელმწიფო თავშესაფრით სარგებლობისთვის მსხვერპლის სტატუსის არსებობა ძირითადი წინაპირობაა და მის გარეშე პირისთვის სახელმწიფო თავშესაფრის სერვისის მიწოდება არ ხდება. ამდენად, აუცილებელია, მუნიციპალიტეტების მიერ დადგენილებების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

კარგი პრაქტიკა: ბოლნისის მუნიციპალიტეტში შემაკავებელი ორდერის საფუძველზე იწყებენ რეაგირებას. სოციალური მომსახურების ბაზაში რეგისტრებულთა შესაბამისი შტრიხკოდით ხვდებიან, რომ ნამდვილად ძალადობის მსხვერპლია და ცალკე დოკუმენტს არ სთხოვენ ძალადობის მსხვერპლს სოციალური სერვისებით უზრუნველყოფისათვის.

რეკომენდაცია:

1. *გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედმა საპარლამენტო საბჭომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან თანამშრომლობით უზრუნველყოს მუნიციპალიტეტების ინფორმირება აღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილების თაობაზე.*
2. *მუნიციპალიტეტებმა შეცვალონ კანონქვემდებარე აქტები, სადაც კონკრეტული სერვისით სარგებლობისთვის მოითხოვება ძალადობის მსხვერპლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი და მოიყვანონ საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.*

<u>ძირითადად მუნიციპალიტეტები „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ღონისძიებებს არ ახორციელებენ, კერძოდ, ქალთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირებას არ ახდენენ.</u>

მუნიციპალიტეტების უმეტესობა უთითებს, რომ სოციალური მუშაობის შესახებ საქართველოს კანონის 56-ე მუხლით განსაზღვრულ ქმედებებს არ ახორციელებენ, კერძოდ , ძალადობის მსხვერპლთა აქტიურ იდენტიფიცირებას, მათი საჭიროებების განსაზღვრასა და შეფასებას, პრობლემის იდენტიფიცირებას და შესაბამისი დაწესებულებისთვის ინფორმაციის მიწოდებას. აღნიშნული შესაძლოა გამოწვეული იყოს მუნიციპალიტეტებისთვის დელეგირებული უფლებამოსილების გადაცემის პარალელურად სათანადო ტრენინგების უზრუნველყოფის ნაკლებობით.

მუნიციპალიტეტებში სოციალური მუშაობისას ქალთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირების კარგი პრაქტიკა არ გამოვლენილა.

რეკომენდაცია:

1. *საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს გადამზადების მოდულის მომზადება ფოკუსირებულად ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტის იდენტიფიცირებაზე.*

2. *საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ და ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნულმა ასოციაციამ მხარი დაუჭიროს მუნიციპალიტეტში დასაქმებული სოციალური მუშაკების გადამზადებას ფოკუსირებულად ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირებაზე.*

<u>**მუნიციპალიტეტებში დაბალია ან საერთოდ არ ფიქსირდება ძალადობის მსხვერპლებისათვის განსაზღვრული სოციალური პროგრამით სარგებლობისათვის მიმართვიანობა.**</u>

თელავის მუნიციპალიტეტის მერია კორესპონდენციაში უთითებს, რომ 2023 წელს მუნიციპალიტეტში სოციალური სერვისით სარგებლობისათვის ძალადობის მსხვერპლ ქალს არ მოუმართავს. ასევე, სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია უთითებს, რომ 2023 წელს ზემოაღნიშნული პროგრამით სარგებლობისთვის სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიისთვის არც ერთ მოქალაქეს არ მოუმართავს. ონის მუნიციპალიტეტის მერია აღნიშნავს, რომ 2023 წელს ძალადობის მსხვერპლი ქალი/ქალები არ გამოვლენილა, შესაბამისად სოციალური სერვისით არცერთ ქალს არ უსარგებლია. აღნიშნული გამოწვევა დამაფიქრებელია, რადგან სწორედ ამ მიზეზით, მუნიციპალიტეტების გარკვეული ნაწილი არ განსაზღვრავს კონკრეტულ სერვისს ძალადობის მსხვერპლთათვის, ხოლო ვისაც განსაზღვრული აქვს, ფაქტიურად თანხა აუთვისებელი რჩება. ფაქტია, რომ ადგილი აქვს სოციალური სერვისის შესახებ არასათანადო ინფორმირებას. თუ გავითვალისწინებთ შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკას, ძალადობის მსხვერპლთა რაოდენობის თაობაზე, აშკარაა, რომ ადგილი აქვს, არა ძალადობის შემთხვევების სიმცირეს კონკრეტულ მუნიციპალიტეტებში, არამედ სხვა ბარიერებს, რაც განაპირობებს განსაზღვრული სოციალური სერვისებით სარგებლობის დაბალ დონეს.

კარგი პრაქტიკა: ქედის მუნიციპალიტეტმა პირველ ეტაპზე ფინანსები უშუალოდ ცნობიერების ამაღ*ლების* კუთხით მიმართა და თემებში ატარებდნენ საინფორმაციო შეხვედრებს.

ზუგდიდს აქვს სოციალური სერვისების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებრივ ტრანსპორტში გამოკვრის პრაქტიკა. ასევე, ზუგდიდმა შექმნა თემის კონსულტანტი ქალების ქსელი, უბრალო მაცხოვრებლები არიან თემებში, რომლებიც სამეზობლოში აქტიური თემის შეტანას ან ინფორმაციის მოსახლეობამდე მიტანას ხელს უწყობენ. „იმ თემში სადაც ეს ქალები არიან წარმომადგენლები, უკეთესი შედეგი გვაქვს და უკეთესად ვშლით სხვადასხვა თემას“- უთითებს ზუგდიდის ქალთა ოთახის წარმომადგენელი.

რეკომენდაცია:

მუნიციპალიტეტებმა უზრუნველყონ მერის წარმომადგენელების და მათი თანამშრომლების ჩართულობა ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლებისათვის განსაზღვრული სოციალური სერვისების თაობაზე სხვადასხვა საშუალებით მოსახლეობაში ინფორმაციის გავრცელებისათვის.

ზოგიერთ მუნიციპალიტეტში სოციალური პროგრამები განსაზღვრულია მხოლოდ ბავშვიანი ქალებისათვის.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მიდგომა გამორიცხავს იმ ძალადობის მსხვერპლ ქალებს, რომელთაც ბავშვები არ ჰყავთ. ამდენად, ეს პრაქტიკა დისკრიმინაციულია და საჭიროებს ცვლილებას.

კარგი პრაქტიკა: მუნიციპალიტეტების უმრავლესობას სოციალური პროგრამები განსაზღვრული აქვთ უშუალოდ ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის, რაც გამორიცხავს დისკრიმინაციას.

რეკომენდაცია:

მუნიციპალიტეტებმა უზრუნველყონ სოციალური პროგრამების ცვლილება და სადაც, განსაზღვრულია, რომ მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს მხოლოდ ძალადობის მსხვერპლი დედის მხარდაჭერას, ჩანაცვლდეს ძალადობის მსხვერპლი ქალით.

უმეტეს მუნიციპალიტეტებში ძალადობის მსხვერპლი ქალების ბავშვებისთვის სპეციფიური დახმარება განსაზღვრული არ არის.

აღსანიშნავია, ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის შესაბამისად,[11] ქალებს, ვინც ფიზიკური ან/და სექსუალური ძალადობა განიცადა პარტნიორის/მეუღლის მხრიდან, უფრო მეტი ალბათობით ჰყავთ მეტი ბავშვი, ვიდრე ქალებს, ვისაც ძალადობა არ გამოუცდია. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ძალადობის შემთხვევაში ბავშვიანი ქალები ხშირად ეკონომიკურ სიდუხჭირეს და ორმაგ მოწყვლადობას განიცდიან. ასევე, გამოწვევას წარმოადგენს ისიც, რომ ვინაიდან ბავშვს ჰყავს იდენტიფიცირებული მამა, დედებს არ ენიჭებათ მარტოხელა მშობლის სტატუსი და ვერ სარგებლობენ ასეთი სტატუსით განსაზღვრული ბენეფიტებით. მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტებს ჰქონდეთ ფინანსური მხარდაჭერის ცალკე პროგრამა ძალადობის მსხვერპლი დედების შვილებისთვის.

ერთ-ერთი ძალადობის მსხვერპლი ქალი უთითებს, „ფინანსური დახმარება მჭირდება როგორც ძალადობის მსხვერპლ ქალს. ისეა ფასები გაზრდილი, რომ მაქსიმუმ ერთი კვირა თუ მეყოფა ეგ ფული, რასაც ვიღებ. კი ექიმი უფასოა, მარა წამლები ხომ ფასიანია?! როცა ძალადობის მსხვერპლი ხარ, ქმრის ოჯახი არანაირ ყურადღებას არ გაქცევს. 300 ლარს ვიღებ მხოლოდ სოციალურ დახმარებას და ხელფასი მაქვს 300 ლარი, ბაღში ვმუშაობ. მწირია ეს დახმარება, პროდუქტი რომ ესე არ იყოს გაძვირებულიყო, კიდევ მესმის. ვაშლი 4 ლარი ღირს, არც ღირს ყიდვა, ვერ შეძლებ, ჩემი ხელფასით ვერ გავწვდები. ტკბილეულზე არაფერს ვამბობ, რაც ბავშვს სჭირდება, ხილი, ვაშლი, ბანანი 6 ლარი ღირს, თან 2 კილო მაინც ხომ უნდა წამოვიღო. ფულს ფულობა არ აქვს ფაქტობრივად. რომ გავდივარ ბაზარში ვფიქრობ, რომ ფული სადმე ხომ არ დამეკარგა. მინიმუმ 100 ლარი თვეში ბავშვის წამლისთვის მჭირდება, თან

[11] ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა, 2022 წელი, UN Women Georgia

ამდენი ვირუსების შემხედვარე. საშინელად დაბინძურებულია ჩვენს მუნიციპალიტეტში ჰაერი. მარტოხელა დედის სტატუსს არ მანიჭებენ, ანუ ბავშვს მამა არ უნდა ჰყავდეს, რომ ფული მომცენ. არადა, მამა ალიმენტს არ იხდის. ჩემნაირი მარტოხელა დედას სჭირდება დახმარება. ჩასაცმელი და დასახური უნდა და ბევრი რამე სჭირდება ბავშვს, ახლა სკოლაში შედის და კიდევ უფრო მეტი დასჭირდება. თუ ფული არ გაქვს, წინ ვერ წახვალ."

კარგი პრაქტიკა: გარდაბნის მუნიციპალიტეტში ძალადობის მსხვერპლ ქალს ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა თითოეული არასრულწლოვანისათვის 100 (ასი) ლარის ოდენობით.

რეკომენდაცია:

მუნიციპალიტეტებმა გაითვალისწინონ ყოველთვიური ფინანსური დახმარება ძალადობის მსხვერპლი ქალების შვილებისათვის.

<u>ხშირად ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის განსაზღვრული სოციალური პროგრამები მათ რეალურ საჭიროებებს ვერ ფარავს.</u>

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტები ძირითადად უზრუნველყოფენ სტანდარტულ სოციალურ სერვისებს, როგორიცაა ქირის გადახდა და ერთჯერადი ფინანსური დახმარება. ძალადობის მსხვერპლი ქალი უთითებს, „რაღაც მჭირდება სახელმწიფოსგან, რაც უფრო თავდაჯერებულს გამხდის და ახლა ამას ვერ ვგრძნობ. საჯარო მოხელე ვარ, მაგრამ მეც დაუცველი ვარ, წარმომიდგენია სხვა ქალები რას გრძნობენ. აი, თუნდაც ფსიქოლოგის გვერდით დადგომა ძალიან მჭირდება. ის სერვისები უნდა შევთავაზოთ ქალებს, რაც სჭირდებათ, არადა ჩვენ თითქოს რაც უკვე გატკეპნილია, იმ გზას მივყვებით."

კარგი პრაქტიკა: გარდაბნის პრაქტიკით, სოციალური მუშაკი ერთვება და ახორციელებს სოციალურ მუშაობას, რის საფუძველზეც წერს მხარდაჭერის გეგმას, თუ რა სახის დახმარება სჭირდება ძალადობის მსხვერპლ ქალს და არგებს სოციალურ მომსახურებას მის საჭიროებებს.

რეკომენდაცია:

1. *მუნიციპალიტეტებმა ძალადობის ფაქტის იდენტიფიცირების შემდგომ ჩაატარონ სოციალური მუშაობა და ისე დაიდენტიფიცირონ ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის საჭირო სერვისები.*
2. *სოციალური სერვისის ჩამოყალიბებისას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ძალადობის მსხვერპლი ქალების მხარდამჭერი სერვისი განისაზღვროს ზოგადი ფორმულირებით, რათა მუნიციპალიტეტს ჰქონდეს ლავირების და საჭიროებებზე დაფუძნებული სერვისის მიწოდების შესაძლებლობა.*
3. *თითქმის ყველა მუნიციპალურ სოციალურ სერვისში ბენეფიციარად განისაზღვროს ქალთა მიმართ ან ოჯახში ძალადობის მსხვერპლი.*

<u>ძალადობის მსხვერპლ ქალთან მუშაობის მიმართულებით მუნიციპალიტეტებს აქვთ საჭიროება, თუმცა არ ჰყავთ ფსიქოლოგები.</u>

აღსანიშნავია, რომ კრიზისული ცენტრების რაოდენობა მწირია და ყველა მუნიციპალიტეტს ვერ ფარავს. ძალადობის მსხვერპლი ქალი უთითებს, რომ „რომ „ფსიქოლოგიურად გვერდით დადგომა ყველაზე მნიშვნელოვანია. ფსიქოლოგის მხარდაჭერა მჭირდება, სახელმწიფოს/მუნიციპალიტეტს შეუძლია ამით იზრუნოს ძალადობის მსხვერპლ ქალებზე. იმდენად ვშფოთავ აქედანვე, დაუცველობის სინდრომი მაქვს, როცა ჩემი მეუღლე საპატიმროს დატოვებს 2 წელში."

კარგი პრაქტიკა: ახმეტის მუნიციპალიტეტს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებაში ჰყავს დასაქმებული ფსიქოლოგი, რაც მუნიციპალიტეტს საშუალებას აძლევს, რომ ძალადობის მსხვერპლ ქალს საჭიროების შემთხვევაში დაეხმაროს შესაბამისი კვალიფიციური ფსიქოლოგის მომსახურებით.

რეკომენდაცია:

1. *სახელმწიფო ზრუნვის სააგენტომ აქტიურად მოახდინოს მოსახლეობის ინფორმირება განსაზღვრულ სერვისებსა და ლოკაციებზე. კერძოდ, ყველასთვის ფართოდ ცნობილი გახადოს თუ რომელ მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს თავშესაფარი და კრიზისული ცენტრი. ასევე, მოქალაქეებს მიაწოდოს ინფორმაცია სერვისებზე, რომელსაც აღნიშნული დაწესებულებები გასცემენ.*
2. *მუნიციპალიტეტებმა შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყონ ქალთა ოთახებში ფსიქოლოგის მომსახურების დანერგვა.*

<u>ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთათვის სოციალური პროგრამები მიბმულია სოციალურად დაუცველის ქულებზე</u>

აღსანიშნავია, რომ ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევა იმდენად კომპლექსურია და ისეთი უარყოფითი გავლენა აქვს მას, მათ შორის, ქალის ეკონომიკურ შესაძლებლობებზე, არ შეიძლება, რომ სოციალური დახმარება მიბმული იყოს სოციალურად დაუცველის სტატუსზე. ეს პრაქტიკა გამორიცხავს მხარდაჭერისგან სხვა ძალადობის მსხვერპლ ქალებს, რომელთაც სტატუსი არ აქვს ან არასაკმარისი სოციალურ ქულები აქვთ.

კარგი პრაქტიკა: მუნიციპალიტეტების უმეტესობას არ აქვს მსგავსი კრიტერიუმი განსაზღვრული, რაც საშუალებას აძლევთ, ყველა ძალადობის მსხვერპლს დაუჭირონ მხარი. ამის მაგალითია, თელავის, ბოლნისის, თეთრიწყაროს, ახმეტის მუნიციპალიტეტები და სხვა.

რეკომენდაცია:

მუნიციპალიტეტის მიერ ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის განსაზღვრულ სოციალურ პროგრამებში მოიხსნას კრიტერიუმად სოციალურად დაუცველის სტატუსის არსებობა.

<u>ძალადობის მსხვერპლი ქალთა დასაქმების ან სამეწარმეო ხელშეწყობის პროგრამები მუნიციპალიტეტებში მწირია.</u>

აღსანიშნავია, რომ სტაბილური ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნის გარეშე ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის გართულდება მათი რეაბილიტაცია და მუდმივად მოუწევთ იყვნენ დამოკიდებული სახელმწიფო ან მუნიციპალურ შემწეობაზე. იმისთვის, რომ ძალადობის მსხვერპლმა ქალმა შეძლოს ეკონომიკაში აქტიური ჩართულობა, მუნიციპალიტეტს შეუძლია განახორციელოს მათი ეკონომიკური გაძლიერებისთვის მხარდამჭერი ღონისძიებები. ბინის ქირის ან ერთჯერადი დახმარების გაცემა ვერ უზრუნველყოფს მათ გრძელვადიან მხარდაჭერას და ვერ შექმნის ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისთვის საფუძველს. ამდენად, ქალთა დასაქმების ან სამეწარმეო საქმიანობის ხელშემწყობი ღონისძიებების არსებობა უმნიშვნელოვანესია მუნიციპალიტეტებში.

კარგი პრაქტიკა: ზუგდიდის მუნიციპალიტეტს აქვს კარგი პრაქტიკა ძალადობის მსხვერპლი ქალების ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით. კერძოდ ზუგდიდის ქალთა ოთახის მენეჯერი უთითებს, რომ „ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთი სერვისია მათი გრძელვადიანი მხარდაჭერა ეკონომიკურად გაძლიერების მიმართულებით. გვაქვს ტრენინგ-ციკლი, რომელიც შეეხება დასაქმებისთვის საჭირო უნარების განვითარებას. საქმიან პორტფოლიოს ვუწესრიგებთ, მაგალითად, სივის შედგენას ან სამოტივაციო წერილის დაწერას ვასწავლით. მენტორინგის პროგრამა გვაქვს ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის. მთელი წლის მანძილზე ეგზავნებათ ინფორმაცია მუნიციპალიტეტში არსებული ვაკანსიებზე. ასევე, გვაქვს დამსაქმებლების და სამუშაოს მაძიებლების პლატფორმა 10 000 გამომწერით. ამ გვერდის საშუალებით ძალადობის მსხვერპლი ქალისთვის სამსახურს ვეძებთ და თითქმის 1 წელში ამ ადამიანის დასაქმებას ვახერხებთ. ამასთანავე, ეკონომიკური გაძლიერების ნაწილში, გვაქვს დონორების ბაზა, საგრანტო კომპონენტებს დონორებისგან ვუზიარებთ ხოლმე ძალადობის მსხვერპლ ქალებს და ასევე ვამზადებთ საგრანტო კომპონენტებისთვის.“

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახმა ძალადობის მსხვერპლი 2 ქალი დაასაქმა კერძო კომპანიაში, კერძოდ: „ქართლი ტექსტილის“ საწარმოში;

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არის ეკონომიკური განვითარების სამსახური, თუკი ვინმე დაინტერესდება საგრანტო კომპონენტით, უწევენ კონსულტაციას და ეხმარებიან საგრანტო განაცხადის დაწერაში.

რეკომენდაცია:

1. *მუნიციპალიტეტებმა ქალთა ოთახების მეშვეობით ძალადობის მსხვერპლ ქალებს შესთავაზონ დასაქმებისთვის საჭირო უნარების განვითარების ტრენინგ-კურსები.*
2. *მუნიციპალიტეტებმა შექმნან საკონტაქტო ბაზა, სადაც მათ მიაწვდიან მუნიციპალიტეტში არსებულ ვაკანსიებზე ინფორმაციას და ასევე, შექმნან პლატფორმა, რომლის საშუალებითაც პოტენციურ დამსაქმებლებს დააკავშირებენ სამუშაოს მაძიებლებთან.*
3. *მუნიციპალიტეტებმა აწარმოონ დონორების და არასამთავრობო ორგანიზაციების ბაზა, რომლებიც ქალების ეკონომიკური მხარდაჭერის მიმართულებით საგრანტო*

კონკურსებს აცხადებენ. ქალთა ოთახის მენეჯერები გადამზადდნენ საგრანტო განაცხადის შედგენის მიმართულებით, რათა მათ მხარი დაუჭირონ ძალადობის მსხვერპლ ქალებს საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის მიმართულებით.

5.2 ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციული ღონისძიებები

კვლევის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მიერ პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ნაწილში გამოვლინდა შემდეგი გამოწვევები:

<u>გარკვეულ მუნიციპალიტეტებში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციული ღონისძიებების განხორციელების მიმართულებით მიმდინარე წლის ბიუჯეტში თანხა განსაზღვრული არ არის.</u>

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტების უმრავლესობას არ აქვს თანხა განსაზღვრული გენდერული თანასწორობის მიმართულებით ცნობიერების ამაღლებისათვის. იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც ასეთი ღონისძიებებისთვის ბიუჯეტი არის გამოყოფილი, მუნიციპალიტეტები ახერხებენ ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.

კარგი პრაქტიკა: ბოლნისის მუნიციპალიტეტის მითითებით, მიმდინარე წელს მერიამ შექმნა ახალი პროგრამა „გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა“, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება საინფორმაციო შეხვედრები, მრგვალი მაგიდები, კონფერენციები და ტრენინგები, ქალთა საჭიროებებზე მორგებულ საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის ქალთა მიმართ ძალადობის თემაზე. პროგრამისთვის ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებულია 15 000 ლარი.

რეკომენდაცია

1. *მუნიციპალიტეტებმა შესაძლებლობის ფარგლებში განსაზღვრონ საბიუჯეტო პროგრამა გენდერული თანასწორობის საკითხებზე მუშაობისათვის. უმჯობესი იქნება, აღნიშნული სახსრების განკარგვის უფლებამოსილება მიეცეს მხარჯავ დაწესებულებას, მერიას, თუმცა გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განსაზღვრაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს გენდერული თანასწორობის საბჭომ.*

<u>ადრეული ქორწინების წინააღმდეგ ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები ყველა მუნიციპალიტეტში არ ჩატარებულა.</u>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და სისხლის სამართლის კოდექსი ახდენს 18 წლამდე გოგოების ადრეული ან იძულებითი ქორწინების რეგულირებას/კრიმინალიზაციას. ადრეული ქორწინება ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, თუმცა საზოგადოების ცნობიერება ამ მიმართულებით მაინც დაბალია. ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტები არ ემხრობიან ადრეულ ქორწინებას და მას უარყოფით და საზიანო პრაქტიკად მიიჩნევენ, არ თვლიან, რომ

ადრეული ქორწინება ქალთა და გოგოების მიმართ ძალადობის ფორმას წარმოადგენს. ზოგი იმასაც კი ამბობს, რომ ადრეული ქორწინება სასარგებლოც კი შეიძლება იყოს და ქვეყნის დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესების გზასაც წარმოადგენდეს.[12] ამდენად, ამ საზიანო პრაქტიკაზე ძალიან მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტების მიერ განგრძობადი მუშაობა.

ერთ-ერთი მერის წარმომადგენლის თანაშემწე უთითებს, „ვერ აღმოფხვერით ადრეული ქორწინების შემთხვევები. 2003 წელს სკოლაში დავიწყე მუშაობა მასწავლებლად, ერთი ბავშვი კარგად სწავლობდა და მერე აღმოჩნდა რომ მე-6 კლასელი, 12 წლის ასაკში დაინიშნა. მაშინ მე თვითონ ახალგზარდა ვიყავი და გამოუცდელი და ვერ დავიცავი ის ბავშვი, დღემდე ვიმკი ამ დანაშაულს, სულ ამ გოგოს გვერდით ვდგავარ და მხარს ვუჭერ, ხშირად მოგვართავს სოციალური დახმარების თხოვნით. იმ ფაქტის შემდეგ, პროფესიულად, ფიზიკურად და სულიერად გავძლიერდი და უკვე წლებია, მსგავს რამეებს შემიძლია რომ სათანადოდ გავუმკლავდე და მაშინ 2003 წელში მე თვითონაც არ ვიყავი ძლიერი, რაღაც შიში მეც მქონდა, რომ ამ თემს, საზოგადოებას ვერ აღვუდგებოდი. მაშინ ასეთი სტერეოტიპი იყო, შენ არ უნდა ჩაერიო, შენ არავინ გეკითხება, შენ არავინ ხარ. ის, რომ ჩვენს შვილს არ ეხება, არ ნიშნავს რომ რეაგირება არ უნდა მოახდინო. ახლა ის გოგო თვითონ იბრძვის, რომ მისმა შვილებმა იგივე გზა არ გაიარონ. ინფორმაცია ადრეულ ქორწინებაზე ჩვენთან მოდის 1 წლით ადრე, როცა ნიშნავენ. როცა ამას ვიგებ მერე ვიზიტს ვახორციელებ ოჯახში და ვუხსნი, რომ არ შეიძლება. თუ ხისტია მამა, მერე ვიღებ ტელეფონს და ვკრიფავ ნომერს 112-ს და აი ეს ჭრის ხოლმე. ჩემი წასვლის შემდეგ ჩუმი კონტაქტი მაქვს ხოლმე გოგოსთან და ვრწმუნდები ხოლმე, რომ ნამდვილად აღარ ემუქრება საფრთხე. აღზრდის პრობლემა გვაქვს ჩვენ, ჩვენც არასწორად ვზრდით შვილებს, რომ გოგო უნდა იყოს მორჩილი, ყველაფერი უნდა აიტანოს. მე მინდა ყველა გოგოს გავაგებინო, რომ არ არიან ძალადობის ღირსი და არ არსებობს ძალადობის ღირსი ქალი.“

ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის მითითებით, „ჩვენთან სოფელში არაფერი იმალება, თუ რამე ძალადობაა, ინფორმაციას მაშინვე ვიგებთ. შარშან იყო შემთხვევა რომ 15 წლის გოგონა დაფეხმძიმდა და გააჩინა ბავშვი. საბედნიეროდ, ოჯახი ამოუდგა გვერდით და არ მოაშლევინა და გააჩენინა ბავშვი. ის, ვისგანაც ფეხმძიმედ იყო ამბობდა ჩემგან არ არისო და მერე პოლიციამ ეს ბიჭი დაიჭირა. როგორც მეგობრები ამბობენ, როგორც სკოლა ამბობს არანაირად ძალდატანებას ადგილი არ ჰქონია.“ აღსანიშნავია, რომ თავად მერის წარმომადგენლს არ აქვს სათანადო სენსიტიურობა და განიხილავს გოგოს მხრიდან ნებელობის ასპექტს მაშინ, როცა არასრულწლოვანთან სექსუალური კავშირი უპირობოდ ძალადობაა.

კარგი პრაქტიკა: ქედის მუნიციპალიტეტი აქტიურად ახორციელებს ღონისძიებებს ადრეული ქორწინების თაობაზე ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. კერძოდ, სისტემატიურად

[12] ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა, 2022 წელი, UN Women Georgia

უტარებს ტრენინგებს დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს და ასევე გეგმავს შეხვედრებს თემში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

რეკომენდაციები

1. *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით მუნიციპალიტეტებმა დაგეგმონ და განახორციელონ ადრეული ქორწინების წინააღდეგ კამპანიები, რომელშიც ჩართავენ მეშვიდე კლასიდან ზემოთ სკოლის მოსწავლეებს და მათ მშობლებს, მასწავლებლებს და დირექტორებს.*
2. *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სკოლებში განათავსოს ძალადობის რეაგირების მექანიზმებზე ინფორმაციას.*
3. *მუნიციპალიტეტმა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით ჩაატაროს შეხვედრები ყველა მერის წარმომადგენელთან ადრეული ქორწინების გამოვლენის შემთხვევაში რეაგირების თაობაზე.*
4. *მუნიციპალიტეტის მიერ ადრეულ ქორწინებასთან დაკავშირებით საპრევენციო მასალის დასახლებების კრებებზე ბროშურების სახით დარიგება.*
5. *ადრეული ქორწინების საკითხებზე ქალთა ოთახების თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაუმჯობესება ბავშვთა დაცვის განყოფილებებთან. ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.*

<u>საზოგადოებაში ცნობიერება დაბალია ქალთა მიმართ ძალადობის თაობაზე. ხშირად ის, ქალები ვინც განაცხადეს ძალადობაზე, გარშემომყოფების მხრიდან იღებენ კრიტიკას.</u>

ქალებს ხშირად უკან გამოაქვთ შინაგან საქმეთა სამინისტროში დაწერილი განცხადება ძალადობის თაობაზე, ვინაიდან საცხოვრისის გარეშე დარჩენის და საზოგადოების მხრიდან გაკიცხვის ეშინიათ. ასევე, ინფორმაციის ნაკლებობის გამო ძალადობის შესახებ გაცხადება მსხვერპლებისათვის წინაღობას წარმოადგენს. ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახის მენეჯერი უთითებს, რომ „ხშირად ძალადობის მსხვერპლ ქალებს ძალადობის გახმაურებას ურჩევნიათ, რომ მოითმინონ. კრიზისულ ცენტრში გადამისამართებულ ბენეფიციართან ძმა მივიდა და უკან წაიყვანა, რადგან შეურაცხყოფად მიიჩნია, რომ მისი და კრიზისულ ცენტრში ცხოვრობდა. ერთ ბენეფიციარს დავეხმარე და მერე მოვიდა და მითხრა, რომ არ მინდოდა განცხადების დაწერა, დეიდამ შემაცდინაო. სოციალური მუშაკის ჩართულობა არის სწორედ ასეთ დროს საჭირო, როცა განცხადება გააქვს უკან, ის შესაძლოა ისევ ძალადობის მსხვერპლია ოჯახის მხრიდან და თუ ამ შემთხვევაში გულგრილობას გამოვიჩენთ, ამან შეიძლება ფატალურ შედეგამდე მიგვიყვანოს.“ ერთ-ერთი ძალადობის მსხვერპლი ქალი უთითებს, რომ „ძალადობა იმაზე მეტია ვიდრე სტატისტიკა აჩვენებს, ბევრი ამაზე არ საუბრობს და მალავს. მეც 4 წელი ვმალე და როცა უკვე ხმის ამოღება გადავწყვიტე, მერე ყველგან საშველს ვეძებდი, ვინ შეიძლებოდა დამხმარებოდა. მე რომ ადრე მცოდნოდა 4 წელი არ გავიდოდა. თანამშრომლები ისე კრიტიკით მიყურებდნენ და მამტყუნებდნენ, რომ ეს ნაბიჯი რატომ გადადგიო. ეგეთი ადამიანები უფრო საშიშები არიან და შეიძლება თავად იყვნენ

მოძალადეები და ჩემს ყოფილ მეუღლეში საკუთარი თავის ასოცირებას ახდენდნენ. ჩემი ყოფილი მეუღლე ჩოხოსანი იყო და ქართველ კაცობაზე „პოსტავდა“ სულ, მაგრამ სინამდვილეში...“

ხშირად, ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტის შეტყობინებას გარშემომყოფები, მეზობლები და ახლობლები არ ახდენენ. საზოგადოებაში ცნობიერება იმის შესახებ, რომ დანაშაულის შეუტყობინებლობაც დანაშაულია, ძალიან დაბალია. ერთ-ერთი მერის წარმომადგენელი უთითებს: „მთის ყველაზე მაღალ სოფელში, ქმარი ძალადობდა დედაზე და შვილზე და პატრული გამოიძახა ქალმა. ახლაც მთელი სოფელი ძალიან ცუდად უყურებს იმის გამო, რომ გაბედა და ქმარი დააჭერინა. ვიყავით ამ ქალთან ოჯახში და გავამხნევეთ. მსხვერპლი ფაქტიურად თავის მართლების პოზიციაში ჩადგა და იმას ამბობდა, რამდენიმე წელი ვმალავდი და მეტი ვეღარ მოვითმინეო. ზოგადი პრობლემაა, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობას ხშირად გავურბივართ, თავს ვარიდებთ.“

ძალადობის შემთხვევაში გარშემომყოფების მხრიდან მსხვერპლი ქალის მხარდამჭერი კარგი პრაქტიკა არ გამოვლენილა მუნიციპალიტეტებში.

რეკომენდაცია:

1. *მუნიციპალიტეტის მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით ცნობიერების ამაღლების ღონისძიების განხორციელდეს ქალთა მიმართ ძალადობის და მასზე რეაგირების საკითხებზე.*
2. *ქალთა ოთახის მენეჯერის მიერ სოციალურ ქსელში ანონიმური პლატფორმის შექმნა, რათა ძალადობის მსხვერპლმა ქალებმა ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარონ.*
3. *მუნიციპალიტეტის მიერ მუნიციპალიტეტში ცნობილი და გამოჩენილი ადამიანების, განსაკუთრებით კაცების ცნობიერების ამაღლების კამპანიებში ჩართვა.*
4. *მუნიციპალიტეტის მიერ ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისათვის ახალგაზრდების ჩართვა ღონისძიებებში, პერფორმანსების და სპექტაკლების დადგმა, ესეების და ნახატების კონკურსების ჩატარება ძალადობის თემაზე.*
5. *ქალთა ოთახების მიერ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება იმის თაობაზე, რომ ნებისმიერი დანაშაულის და მათ შორის, ქალთა მიმართ ძალადობის შეტყობინება კანონით განსაზღვრული ვალდებულებაა.*

<u>ქალებს არ აქვთ სათანადო ინფორმაცია ძალადობის შემთხვევაში რეაგირების თაობაზე.</u>

ძალადობის მსხვერპლი ქალი უთითებს, „დაშორება რომ გადავწყვიტე, მე თვითონ ვიკვლევდი, რა სერვისით მესარგებლა და მიჭირდა ინფორმაციის გაგება. ჩემს მაგალითზე ბევრს შემიძლია საჭირო ინფორმაციას მივაწოდო. იმ პერიოდში უფრთო რთული იყო, როცა მაგ პრობლემაში ვიყავი, 2 წლის გადასახედიდან აღარ მიჭირს ამაზე საუბარი, ბევრი რამ

სწორად გავაკეთე და სწორი ნაბიჯი გადავდგი. ეს ინფორმაცია რაც ახლა მაქვს, უფრო დამეხმარებოდა პირველივე ნაბიჯების გადადგმაში. თავიდან ძალიან მრცხვენოდა რომ მეღიარებინა, რომ მეუღლე ჩემზე ძალადობდა, მაგრამ ახლა ეგ მომენტი აღარ მაქვს, სრულად გავთავისუფლდი და მინდა, რომ ჩემი გამოცდილება სხვა გოგოებს გავუზიარო. მაგალითად, ფეისბუქ-ჯგუფი თუ შეიქმნება მუნიციპალიტეტში, სადაც ძალადობის მსხვერპლი ქალები ერთმანეთს გამოცდილებას ანონიმურად გაუზიარებენ, შეიძლება ბევრი გადავარჩინოთ, ბევრს მივაწოდოთ სწორი ინფორმაცია."

კარგი პრაქტიკა: გურჯაანის მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახის ბენეფიციარი უთითებს, რომ „არ დამირეკავს პოლიციაში, სულ შემთხვევით მივედი გამგეობაში, მაინტერესებდა ჩემი უფლებები როგორ დამეცვა. მე თვითონ მინდა, რომ ეს ჩემი მწარე გამოცდილება გაკვეთილი იყოს სხვა ქალებისთვის და მინდა, რომ სხვისი უფლებები დავიცვა და მათ გავუზიარო ჩემი გამოცდილება. რაც უფრო გამკაცრდა კანონი, მოძალადეები უფრო შიშობენ. სამ ადამიანს გავუზიარე ჩემი ისტორია და სამივე წამოვიდა ოჯახებიდან. არავის აქვს უფლება, რომ იძალადოს ქალზე."

რეკომენდაცია:

1. *მუნიციპალიტეტის მეირ ძალადობის შემთხვევაში რეაგირების საკითხებზე და მუნიციპალურ უფლებამოსილებებზე ქალთა მიმართ ძალადობის მიმართულებით, მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში, ქალთა ოთახში, მერის წარმომადგენლების ოფისებში, ადრეული აღზრდის დაწესებულებების შენობებში, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ ადმინისტრაციულ შენობებში, მუნიციპალური ტრანსპორტში პლაკატების გამოკვრა. საგზაო ბანერებზე აღნიშნული ვიზუალური ინფორმაციის გამოქვეყნება.*

2. *ძალადობის რეაგირების თაობაზე ინფორმაციის გავრცელება მუნიციპალიტეტების მიერ ოფიციალურ ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელებში. ასევე, მუნიციპალიტეტში არსებულ აქტიურ ჯგუფებში ქალთა ოთახის მენეჯერების მიერ აღნიშნული ინფორმაციის გაზიარება.*

3. *მუნიციპალიტეტის მიერ ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის მიზნით ადგილობრივ მედია საშუალებებში, ბეჭდურ მედიასა და ტელევიზიაში, ინფორმაციის გავრცელება.*

5.3 მუნიციპალიტეტების ინსტიტუციური გაძლიერება

<u>ძირითადად, მერის წარმომადგენლები არ არიან ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მექანიზმების, მათ შორის საკონსულტაციო</u>

<u>და გადაუდებელი დახმარების ცხელი ხაზის თაობაზე ინფორმირებულნი. მერის წარმომადგენლებს სჭირდებათ ცნობიერების ამაღლება ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე.</u>

ონის მუნიციპალიტეტის მითითებით, 2023 წლის მანძილზე მერის წარმომადგენლებს არ მიწოდებიათ ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მექანიზმების, მათ შორის საკონსულტაციო და გადაუდებელი დახმარების ცხელი ხაზის თაობაზე.

მერის წარმომადგენელი ძალადობის საკითზე საუბრისას უთითებს, რომ „სამეზობლო შელაპარაკების დროს ქალის მიმართ ძალადობის საქმეში ჩავერთეთ და ძალადობის მსხვერპლს და მოძალადეს ვესაუბრეთ. ამ საუბრის შემდგომ ცოტა ხანს დაშოშმინდნენ. პირობა მიიღო მოძალადისგან მსხვერპლმა, რომ ძალადობისგან თავს შეიკავებდა. რამდენიმე თვეა გასული და მშვიდობიანი მეზობლობა აქვთ.“ მეორე შემთხვევაზე საუბრისას მერის წარმომადგენელი უთითებს შემდეგს, „4 შვილი ჰყავს ოჯახს და ბავშვს და მეუღელს სცემდა ხოლმე კაცი და მისი ცოლი მოდიოდა ხოლმე და გვეუბნებოდა, რომ ჩემზე ეჭვიანობის გამო მცემსო. სხვათა შორის, ჩვენი სოფლის ადმინისტრაცია გაესაუბრა მოძალადეს. იმის შემდგე დამშვიდდა სიტუაცია ცოლ-ქმარს შორის და ხელიხელჩაკიდებულები ხშირად დამინახავს და არიან მორიგებულები და გემრიელად და ტკბილად მის მერე. არ დაგვჭირვებია 112 და ქალთა ოთახი.“ აღსანიშნავია, რომ მერის წარმომადგენლების ჩართულობა აუცილებლად უნდა განხორციელდეს შესაბამის უწყებებთან კოორდინაციით და არ უნდა აიღონ თავზე მათ თვითნებურად ძალადობის შემთხვევების მართვა.

მერის წარმომადგენელი სხვა შემთხვევის გახსენებისას უთითებს, რომ „სასულიერო პირს ჩაკეტილი ჰყავდა ცოლ-შვილი, გარეთ გამოსვლის უფლება არ ჰქონდათ და მხოლოდ ამ კაცის ინსტრუქციებს ემორჩილებოდნენ. ვერაფერს ვერ გავხდით, მივუტანეთ დახმარება სასურსათო და უკან გამოგვატანა, როგორ მაკადრეთო, მითუმეტეს მარხვა დროს ხორც-პროდუქტების მოტანა როგორ შეიძლებოდაო. ფიზიკურად არ ძალადობს, მხოლოდ თავის ოჯახს ამყოფებს რთულ მდგომარეობაში. ცოლს მეზობელთან გადასვლის ან ბაზარში წასვლის უფლება არ აქვს. ბავშვები კი წამოიზარდნენ, თავის გზაზე დადგენენ და გაერიდნენ მამას, მაგრამ ცოლი ხომ ვერ გაერიდება. რომც ვცადოთ რეაგირება, არ გვაძლევს უფლებას რომ მის ოჯახში ჭიშკარი შევაღოთ. ამ ქალს არ მიუმართავს არავისთვის დახმარების თხოვნით და ეს მხოლოდ მეზობლებისგან ვიცით, რომ ასეთ რთულ მდგომარეობაში ამყოფებს. ახლა თითქოს პირად ცხოვრებაში ჩარევაც გამოდის და ამ კუთხითაც თავს ვიკავებთ. სოციალური დახმარებას კი ვუწევთ.“ აღსანიშნავია, რომ ფსიქოლოგიური ძალადობა, გადაადგილების შეზღუდვა არ მიიჩნევა მერის წარმომადგენლისთვის ისეთ საგანგაშო სიგნალად, რომ მოახდინოს რეაგირება და პოლიციას შეატყობინოს.

კარგი პრაქტიკა: გარდაბანში მერის წარმომადგენლებს მიეწოდათ საინფორმაციო მასალა, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების

მექანიზმების, მათ შორის, საკონსულტაციო და გადაუდებელი დახმარების ცხელი ხაზების თაობაზე.

თელავში საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა მუნიციპალიტეტის სოფლებში მერის წარმომადგენლებთან, სპეციალისტებთან და მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მენეჯერებთან ძალადობის ფორმებისა და დაცვის მექანიზმებზე. შეხვედრების დროს ინფორმაცია მიეწოდათ ძალადობის სახეების, ძალადობისაგან დამცავი მექანიზმებისა და მუნიციპალიტეტში არსებული სერვისების შესახებ.

რეკომენდაციები

1. *მუნიციპალიტეტის მიერ მერის წარმომადგენლებთან/თანაშემწეებთან საინფორმაციო შეხვედრების და ტრენინგების ორგანიზება ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და მართვის მიმართულებით.*
2. *ქალთა ოთახის მენეჯერის მიერ მერის წარმომადგენლების თანაშემწეების მონაწილეობით რეაგირების მექანიზმის შექმნა.*

<u>მუნიციპალიტეტში გადაწყვეტილების მიმღები პირების მგრძნობელობა ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე გამოწვევად გამოვლინდა.</u>

ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახის წარმომადგენელი უთითებს, რომ „ ქალთა მიმართ ძალადობის მიმართ არ არის ის განწყობა, რაც უნდა იყოს გადაწყვეტილების მიმღები პირების მხრიდან, არ აქვთ მგრძნობელობა. ინდიფერენტული დამოკიდებულება აქვთ, სად არის ძალადობა, არ არისო, ასე მეუბნებიან ხოლმე, მათი გადამზადება აუცილებელია. ნებისმიერ თემაზე პირველ რიგში, უნდა მოხდეს გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან შეხვედრების ჩატარება. როცა დაბალი რგოლიდან ვიწყებთ, ხშირად დარწმუნება გვიჭირს, რადგან ზემდგომი სხვაგვარად ფიქრობს და მათ უჯერებენ. კაცები ხშირად გენდერს ვერ იაზრებენ, ჰგონიათ რომ ქალი მათ უფლებებს წაართმევს.“

კარგი პრაქტიკა: ახმეტის მუნიციპალიტეტში გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ჩართულობით ფილმის ,,სორაიას ჩაქოლვა'' ჩვენება, ხოლო შემდგომ დისკუსია მოეწყო.

რეკომენდაციები

1. *მუნიციპალიტეტის მიერ მუნიციპალიტეტის მერის, მერის მოადგილეების, სამსახურის უფროსების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების, კომისიის უფროსების მონაწილეობით ტრენინგის ჩატარება ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე.*
2. *ქალთა ოთახების გაერთიანების მიერ კვლევაში ჩართულ 15 მუნიციპალიტეტის მერს შორის გამოცდილების გაზიარების შეხვედრის ორგანიზება ქალთა მიმართ ძალადობის რეაგირების და პრევენციის საკითხზე.*

<u>ძირითადად მუნიციპალიტეტებში, იმ თანამშრომლების გარდა, ვინც გენდერული თანასწორობის საკითხებზე მუშაობს, არცერთი თანამშრომელი არ გადამზადებულა ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე.</u>

ქალთა ოთახების მენეჯერებს თითქმის არ გაუვლიათ სპეციალური გადამზადება ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევაში რეაგირების საკითხებზე, მსხვერპლთან/სავარაუდო მსხვერპლთან სენსიტიურ მიდგომებზე. ონის მერიას ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და რეაგირების საკითხებზე თანამშრომლები არ გადაუმზადებია, რადგანაც მათი მითითებით, ადგილობრივ დონეზე ამის შესაძლებლობა არ არის. კვალიფიციური ტრენერების მიერ აღნიშნული მიმართულებით შემოთავაზებული გადამზადება, მერიის მიერ დაუბრკოლებლად იქნება დაფინანსებული. გურჯაანის მუნიციპალიტეტის მითითებით, შესაბამისი უწყებების მიერ მუნიციპალიტეტის მიმღებში მომუშავე თანამშრომლები, მერის წარმომადგენლები, გენდერზე პასუხისმგებელი პირები, ქალთა ოთახის მენეჯერები ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და რეაგირების საკითხებზე არ გადამზადებულან. გარდაბანში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და რეაგირების საკითხებზე შესაბამისი უწყებების მიერ გადამზადებულები არიან: გენდერზე პასუხისმგებელი პირები, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს წევრები, ქალთა ოთახის მენეჯერი. თელავის მუნიციპალიტეტში მხოლოდ გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელ პირს/,,ქალთა ოთახის“ მენეჯერს აქვს გავლილი სასწავლო კურსი, რომელიც მოიცავდა ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და რეაგირების საკითხებს, ხოლო თელავის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეების უმრავლესობას გავლილი აქვს ელექტრონული სასწავლო კურსი „სექსუალური შევიწროების პრევენციისთვის“.

კარგი პრაქტიკა: ახმეტის მუნიციპალიტეტის მიმღებში მომუშავე 4 თანამშრომელი, ადმინისტრაციული ერთეულის 15 წარმომადგენელი და გენდერზე პასუხისმგებელი პირი და ქალთა ოთახის მენეჯერი, გადამზადებულები არიან ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა საკითხებზე და უმეტეს მათგანს აქვს სერტიფიკატიც.

რეკომენდაციები

მუნიციპალიტეტის მიერ ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე მუნიციპალიტეტის ყველა თანამშრომლის, მათ შორის, მიმღებში მომუშავე თანამშრომლების, მერის წარმომადგენლების, გენდერზე პასუხისმგებელი პირების, ქალთა ოთახის მენეჯერების ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და რეაგირების საკითხებზე გადამზადება.

<u>ქალთა ოთახის მენეჯერებს ხშირად ფუნქცია შეთავსებული აქვთ სხვა სამსახურებრივ მოვალეობებთან ერთად</u>

ერთერთი მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახის მენეჯერი უთითებს, „ჩვენ გვაქვს პრობლემა, რომ სხვა სამსახურებში ვმუშაობთ და დრო არ გვაქვს. არქიტექტურის და ზედამხედველობის თანამშრომელი ვარ და ჩემი კოლეგა კულტურის. ძირითადად ვართ ქალთა ოთახში, გავიქცევით, გამოვიქცევით, ქალთა ოთახი პირველ სართულზე და ჩვენი

სამუშაო ოთახები მესამეზე. რთულია დროის გამოთავისუფლება ჩვენთვის და ქალთა ოთახის საქმიანობაში სათანადო ჩართულობა.“

კარგი პრაქტიკა: გარკვეულ მუნიციპალიტეტებში გენდერზე პასუხისმგებელი პირი და ქალთა ოთახის მენეჯერი სხვადასხვა პირია, რაც საშუალებას აძლევთ, რომ ხარისხიანად განახორციელონ, როგორც ინსტიტუციური კოორდინაციის და საქმიანობების დაგეგმვის როლი, ასევე სერვისის მიმწოდებლის როლი.

რეკომენდაცია

მუნიციპალიტეტის მიერ ქალთა ოთახის თანამშრომლებისათვის უფლებამოსილების შეთავსების მოხსნა და გენდერზე პასუხისმგებელი პირისა და ქალთა ოთახის მენეჯერის უფლებამოსილებების გამიჯვნა.

<u>**მუნიციპალიტეტში არსებულ ბავშვთა განყოფილებებსა და ქალთა ოთახებს შორის არ არის მჭიდრო თანამშრომლობა.**</u>

ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახის მენეჯერი მიიჩნევს, რომ ბავშვთა დაცვის განყოფილების გაერთიანება ქალთა ოთახთან უკეთესი შედეგის მომტანი იქნება. მიაჩნიათ, რომ ეს ცვლილება დადებითია, თუმცა აჯობებდა ზოგადად ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილება შექმნილიყო, სადაც გენდერული თანასწორობის საკითხიც შევიდოდა. მხოლოდ ბავშვთა განყოფილება ჩამოყალიბებამ არ არის ეფექტური, რადგან კოორდინაცია სხვა უფლებრივ საკითხებზე გართულებულია. ზოგიერთი მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახის მენეჯერი უთითებს, რომ საერთოდ მათთვის გაუგებარია, რა არის ბავშვთა უფლებათა დაცვის განყოფილების როლი, „ჩვენთან ბავშვთა განყოფილება 1 ადამიანით არის დაკომპლექტებული, ჩემთვის გაურკვეველია მათი როლი რა არის. ჩემთვის უხილავია მათი საქმე. პარლამენტმა გაცილებით მეტი ყურადღება გამოიჩინა და გააძლიერა ბავშვთა დაცვის მიმართულება, როცა ჩვენ წლებია ვითხოვთ გენდერული თანასწორობის ან ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილებას. უფრო ეფექტიანი იქნებოდა ადამიანის უფლებათა დაცვის განყოფილების შექმნა, რომელიც ყველა ადამიანის უფლებას და მათ შორის, ქალების და ახალგაზრდების, შშმ პირების, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის უფლებებს შეეხებოდა.“

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილების შექმნის მიმართულებით არცერთ მუნიციპალიტეტში არ არსებობს კარგი პრაქტიკა.

რეკომენდაცია:

საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედმა საბჭომ შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან კოორდინაციით ადვოკატირება გაუწიოს მუნიციპალიტეტებში ადამიანის უფლებათა დაცვის განყოფილების შექმნას, რომელის ფუნქციები შეეხება, ბავშვთა უფლებების, გენდერული თანასწორობას, შშმ პირების, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებებს.

<u>მუნიციპალიტეტის მერიაში ან ქალთა ოთახში არასათანადო გარემოა ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის სენსიტიურ თემებზე სასაუბროდ.</u>

მაგალითად, ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი უთითებს, რომ „ქალთა ოთახი განთავსებულია ბიბლიოთეკის კერძო საკუთრებაში, ჩემს გარდა ჩვენთან სხედან სხვებიც და ძალადობის მიმართვიანობა დაბალი შესაძლოა იმიტომ არის, რომ ხალხი ერიდება თავის მდგომარეობაზე საუბარს ასეთ ღია გარემოში. მაგალითად, აქ 5 ქალი ზის და აქ არავის შემოვა, რომ ისაუბროს.“

კარგი პრაქტიკა: ხულოს მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფილია სათანადო გარემო და ისეთი დახურული სივრცე, სადაც ნებისმიერი ადამიანი შეძლებს, რომ მიმართოს ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევაზე სასაუბროდ. ამ გარემოში მხოლოდ ქალთა ოთახის თანამშრომლები არიან.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახის ბენეფიციარი უთითებს, „ჩვენი მუნიციპალიტეტის ქალთა ოთახში რა თქმა უნდა, ამაზე საჯაროდ და სხვებისთვის გასაგონად არ ჰყვები. როცა მიდიხარ და საუბრის დაწყებას აპირებ, ერთი პირი რჩება და მეორე ტოვებს ოთახს. ეს მიდგომა კარგია, თავს დაცულად იგრძნობ, არ დაკომპლექსდებით შენი ამბით. თანამშრომლები ყველანაირად ძალას შეგამატებენ. დახურული და კონფიდენციალურია ეს საუბარი.

რეკომენდაცია:

1. *მუნიციპალიტეტებმა უზრუნველყონ ქალთა ოთახების ისეთ ადგილზე განთავსება, რომ შეიქმნას სენსიტიური და დახურული გარემო ძალადობის შემთხვევაზე სასაუბროდ და მუნიციპალიტეტის მხრიდან შესაბამისი მხარდაჭერის მისაღებად.*
2. *მუნიციპალიტეტის მიერ ქალთა ოთახის მენეჯერების გადამზადება ძალადობის მსხვერპლთან სენსიტიური და ეთიკური კომუნიკაციის ფორმების თაობაზე.*

5.4 მუნიციპალიტეტების თანამშრომლობა სხვა სახელმწიფო უწყებებთან

<u>მუნიციპალიტეტების უმეტესობა უთითებს, რომ არ უთანამშრომლია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, ზრუნვის სააგენტოსთან და იურიდიული დახმარების სამსახურთან.</u>

სახელმწიფო უწყებებსა და მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობას აქვს ფრაგმენტული და არა სისტემური ხასიათი. გარკვეულ მუნიციპალიტეტებში უწყებათაშორისი კომისია არის შექმნილი ძალადობის საკითხზე, რომლის წევრი შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელიც არის. ასევე, გარკვეულ მუნიციპალიტეტებში პოლიციის თანამშრომლები მუნიციპალურ სოციალურ პროგრამებზე ინფორმაციას აწვდიან. თავად შინაგან საქმეთა სამინისტრო მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობაზე უთითებს, „აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტებში მოქმედი გენდერული თანასწორობის საბჭოები აქტიურად არიან

ჩართულნი სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად სხვადასხვა საინფორმაციო ხასიათის კამპანიაში, მათ შორის, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის 16 დღიან და ნაადრევი ქორწინების წინააღმდეგ მიმართულ ყოველწლიურ კამპანიაში „ნუ წაართმევ ბავშვობას“. აშკარაა, რომ აღნიშნული თანამშრომლობა საჭიროებს სისტემურ ხასიათს და ფარგლების გაფართოებას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენელი უთითებს, რომ „მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის ნაწილში დანაშაულის პრევენციაზე მუშაობა უნდა გაძლიერდეს. მოქალაქეებს უნდა გავაცნოთ კანონმდებლობა. კარგი იქნება მუნიციპალიტეტმა ჩვენი მონაწილეობით დააორგანიზოს შეხვედრა მოწყვლად ჯგუფებთან, სადაც შეიძლება იყვნენ პოტენციური ძალადობის მსხვერპლები. აუცილებელია აქტიური შეხვედრები მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებთან. ხშირად მუნიციპალიტეტი პოლიციის თანამშრომლის გარეშე ხვდება მოსახლეობას ამ საკითხებზე, რაც არაეფექტურია, ერთად უნდა დაიგეგმოს მსგავსი შეხვედრა. აუცილებელია მოსახლეობის ინფორმირება ძალადობაზე, ბულინგზე, მავნე პრაქტიკებზე.“

კარგი პრაქტიკები: შუახევის მუნიციპალიტეტში შექმნილია კომისია ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე, რომლის წევრიც შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელია. პოლიციაში ძალადობის მსხვერპლ ქალებს აწვდიან ინფორმაციას მუნიციპალიტეტის მერიის მიერ უზრუნველყოფილ სოციალურ პროგრამებზე. ამ კომისიაში ჩართულობა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის და შინაგან საქმეთა სამინსიტროს ერთობლივ საქმიანობას.

რეკომენდაციები

1. *მუნიციპალიტეტის მიერ ძალადობის საკითხზე მუნიციპალიტეტში კომისიის შექმნა ან გენდერული თანასწორობის საბჭოს სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომლის წევრიც იქნება ადგილობრივი პოლიციის, ზრუნვის სააგენტოს და იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენელი.*
2. *მუნიციპალიტეტის მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ოფიციალური წერილით მიმართვა ძალადობის შემთხვევებში მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის თაობაზე კომისიაში ჩართულობასთან დაკავშირებით.*
3. *მუნიციპალიტეტის მიერ ზრუნვის სააგენტოსთან წლის ბოლოს საკოორდინაციო შეხვედრის ჩატარება, რათა არ მოხდეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ისეთი სოციალური პროგრამების ასახვა, რომელიც მეორდება სახელმწიფო სერვისთან.*
4. *მუნიციპალიტეტის მიერ იურიდიული დახმარების სამსახურთან კოორდინაცია და მათ სერვისებზე ძალადობის მსხვერპლი ქალების ინფორმირება.*
5. *მუნიციპალიტეტის მიერ ზრუნვის სააგენტოს და პოლიციის ადგილობრივი განყოფილებისათვის ოფიციალური წერილით მიმართვა მერიის მიერ, თუ რა*

სერვისები აქვს მუნიციპალიტეტს და რა კრიტერიუმებია საჭირო ამ სერვისების მისაღებად.

<u>ძალადობის მსხვერპლი ქალების რაოდენობის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო პროაქტიულ რეჟიმში მუნიციპალიტეტებს არ აწვდის.</u>

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტებს სწორი სოციალური პოლიტიკის დასაგეგმად სჭირდებათ მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომა. კერძოდ, მათ აუცილებლად უნდა იცოდნენ ძალადობის მსხვერპლთა რაოდენობა, მსხვერპლთა ასაკი და სქესი. მუნიციპალიტეტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ შესაბამის ინფორმაციას მოთხოვნის მიუხედავად შინაგან საქმეთა სამინისტრო არ აწვდის. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოთხოვილ იქნა მუნიციპალიტეტების დონეზე ჩაშლილი მონაცემები ძალადობის მსხვერპლთა რაოდენობების თაობაზე. ოფიციალურ ვებგვერდზე შინაგან საქმეთა სამინისტროს აღნიშნული ინფორმაცია მხოლოდ რეგიონის დონეზე აქვს, რაც არ იძლევა სათანადო სურათს მუნიციპალიტეტებისათვის ტენდენციების გამოვლენისა და შესაბამისი პოლიტიკის დასაგეგმად.

კარგი პრაქტიკა: შუახევის მუნიციპალიტეტმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოდან გამოითხოვა ინფორმაცია ოჯახში ძალადობის თაობაზე გენდერული ნიშნით ჩაშლილი მონაცემებით. ადგილობრივმა პოლიციამ ინფორმაცია არ მიაწოდა და უარი მხოლოდ სიტყვიერად მერს შეატყობინეს. შემდგომ კი უშუალოდ სამინისტროდან გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია მუნიციპალიტეტმა, რაზეც საპასუხო კორესპონდენციის სახით მიიღეს ძალადობის სახეების და სქესის ნიშნით ჩაშლილი სტატისტიკური მონაცემები.

რეკომენდაცია:

1. *შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საკუთარი ინიციატივით უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების გამჟღავნების გარეშე, ძალადობის მსხვერპლთა სტატისტიკური მონაცემების პროაქტიული მიწოდება მუნიციპალიტეტებისათვის.*
2. *მუნიციპალიტეტებმა ყოველწლიურად ბიუჯეტის დაგეგმვამდე გაითვალისწინონ აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები და შესაბამისად განსაზღვრონ სოციალური სერვისები ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის.*

6. შეჯამება

აღნიშნულ ანგარიშში გაანალიზდა მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებების ქალთა მიმართ ძალადობის მიმართულებით არსებული ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩო. მუნიციპალიტეტებს როგორც ხალხთან ახლოს მყოფ ხელისუფლებას აქვს მოქმედების ფართო პრაქტიკული არეალი, თუმცა უფლებამოსილებების თვალსაზრისით შეზღუდულია კანონმდებლობით. კერძოდ, მუნიციპალიტეტს ქალთა მიმართ ძალადობის მიმართულებით

მხოლოდ სხვა სახელმწიფო უწყებების საქმიანობების პარალელურად დამატებითი ფუნქციების შესრულება შეუძლიათ.

ანგარიშში გაანალიზებულია ქალთა ოთახების როლი ამ დანაშაულებებთან ბრძოლის და ზოგადად გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ ხშირად გენდერზე პასუხიმგებელი პირის და ქალთა ოთახის მენეჯერის ფუნქციები დუბლირდება ან შეთავსებული აქვს ერთ ადამიანს, რომელსაც უჭირს ამ მოცულობის საქმიანობის განხორციელება. იმისათვის, რომ გენდერული თანასწორობის ინსტიტუციონალიზაცია მოხდეს ეფექტურად და ასევე, მუნიციპალიტეტმა ქალებს მათ საჭიროებაზე მორგებული სერვისი შესთავაზოს, აუცილებელია, რომ აღნიშნული ფუნქციები გაიმიჯნოს. ასევე, გენდერულ თანასწორობაზე სისტემური მუშაობისთვის, უმჯობესი იქნება შეიქმნას ადამიანის უფლებათა დაცვის სტრუქტურული ერთეული.

15 მუნიციპალიტეტებიდან 12 მათგანს გათვალისწინებული აქვს სხვადასხვა სოციალური პროგრამები ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის. ხოლო ყვარელის, დედოფლისწყაროს და ონის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში მსგავსი პროგრამები არ იძებნება. სოციალური პროგრამებიდან ყველაზე ხშირად გვხვდება ერთჯერადი ან ყოველთვიური ფულადი დახმარება და ბინის/საცხოვრისის ქირით უზრუნველყოფის სოციალური პროგრამები.

მუნიციპალიტეტებს აქვს განსხვავებული პრაქტიკა ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის აქტივობების მიმართულებით, როგორიცაა ესეების და ნახატების კონკურსები, აქცია/პერფორმანსები, დისკუსია და ფილმის ჩვენება, მოსწავლეებთან შეხვედრები, მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა ტრენინგ-შეხვედრები და ასევე ძალოვანი უწყებების მონაწილეობით გამართული შეხვედრები. ძალადობის პრევენციისათვის ქალთა მიმართ ძალადობის ცხელი ხაზის ნომერს და სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციის გავრცელება მუნიციპალიტეტიც ახორციელებს. ასევე, ეს ინფორმაციები განთავსებულია გარკვეულ ადმინისტრაციულ შენობებში. უმჯობესი იქნება აღნიშნული პრაქტიკის სისტემატიზაცია მოხდეს და ამისთვის უმნიშვნელოვანესია ამ კვლევის ანგარიშის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულება.

გამოვლენილ გამოწვევებს შორის არსებითია: (1) გარკვეული მუნიციპალიტეტები სოციალური სერვისებით სარგებლობისთვის ძალადობის მსხვერპლი ქალებს სთხოვენ ძალადობის მსხვერპლის სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტს. (2) „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტის იდენტიფიცირების შემთხვევა არ გამოვლენილა; (3) მუნიციპალიტეტებში დაბალია ან საერთოდ არ ფიქსირდება ძალადობის მსხვერპლებისათვის განსაზღვრული სოციალური პროგრამით სარგებლობის შემთხვევები; (4) მუნიციპალიტეტის მერიაში ან ქალთა ოთახში არასათანადო გარემოა ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის სენსიტიურ თემებზე სასაუბროდ; (5) სოციალური პროგრამები ხშირად განსაზღვრულია მხოლოდ ბავშვიანი ქალებისათვის; უმეტეს მუნიციპალიტეტებში ძალადობის მსხვერპლი ქალების

შვილებისთვის სპეციფიური დახმარება განსაზღვრული არ არის; (6) ხშირად ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის განსაზღვრული სოციალური პროგრამები მათ რეალურ საჭიროებებს ვერ ფარავს. გამოვლინდა ფსიქოლოგის მხარდაჭერის საჭიროება. (7) ძალადობის მსხვერპლი ქალთა დასაქმების ან სამეწარმეო ხელშეწყობის პროგრამები მუნიციპალიტეტებში მწირია. (8) გარკვეულ მუნიციპალიტეტებში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციული ღონისძიებების განხორციელების მიმართულებით, მიმდინარე წლის ბიუჯეტში თანხა განსაზღვრული არ არის. (9) ადრეული ქორწინების წინააღმდეგ ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები ყველა მუნიციპალიტეტში არ ჩატარებულა. (10) ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთათვის სოციალური პროგრამები მიბმულია სოციალურად დაუცველის სტატუსის ქულებზე. (11) საზოგადოებაში ცნობიერება დაბალია ქალთა მიმართ ძალადობის თაობაზე. ხშირად ის, ქალები ვინც განაცხადეს ძალადობაზე, გარშემომყოფების მხრიდან იღებენ კრიტიკას. (12) ქალებს არ აქვთ სათანადო ინფორმაცია ძალადობის შემთხვევაში რეაგირების თაობაზე. (13) ძირითადად, მერის წარმომადგენლები არ არიან ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მექანიზმების, მათ შორის საკონსულტაციო და გადაუდებელი დახმარების ცხელი ხაზის თაობაზე ინფორმირებულნი. მერის წარმომადგენლებს სჭირდებათ ცნობიერების ამაღლება ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე. (14) მუნიციპალიტეტში გადაწყვეტილების მიმღები პირების მგრძნობელობა ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე გამოწვევაა. (15) ძირითადად მუნიციპალიტეტებში, იმ თანამშრომლების გარდა, ვინც გენდერული თანასწორობის საკითხებზე მუშაობს, არცერთი თანამშრომელი არ გადამზადებულა ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე. (16) ქალთა ოთახის მენეჯერებს ხშირად ფუნქცია შეთავსებული აქვთ სხვა სამსახურებრივ მოვალეობებთან ერთად. (17) მუნიციპალიტეტში არსებულ ბავშვთა განყოფილებებსა და ქალთა ოთახებს შორის არ არის მჭიდრო თანამშრომლობა. (18) მუნიციპალიტეტების უმეტესობა უთითებს, რომ არ უთანამშრომლია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, ზრუნვის სააგენტოსთან და იურიდიული დახმარების სამსახურთან. (19) ძალადობის მსხვერპლი ქალების რაოდენობის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო პროაქტიულ რეჟიმში მუნიციპალიტეტებს არ აწვდის.

აღნიშნული გამოწვევებზე რეაგირებისთვის გაიცა რეკომენდაციები ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტის იდენტიფიცირების, სოციალურ პროგრამებში დისკრიმინაციული კრიტერიუმების შეცვლის და ბავშვებისთვის დამატებითი ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფის, ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მოთხოვნის პრაქტიკის ცვლილების, ყველა სოციალურ სერვისში ძალადობის მსხვერპლი ქალის ბენეფიციარად განსაზღვრის, ფსიქოლოგის დახმარების, დასაქმების, საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის სერვისის უზრუნველყოფის, ძალადობის პრევენციაზე მუშაობისთვის საბიუჯეტო სახსრების გამოყოფის, ადრეულ ქორწინებასა და ძალადობის პრევენციაზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაზე სისტემური და განაგრძობითი მუშაობის, ძალადობის რეაგირებაზე სათანადო ინფორმაციის მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ შენობაზე და ტრანსპორტზე

განთავსების, განსაკუთრებული აქცენტით მერის წარმომადგენლების გადამზადების, ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე მუნიციპალიტეტის ყველა თანამშრომლის გადამზადების, ქალთა ოთახის მენეჯერის და გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციების გამიჯვნის, ადამიანის უფლებათა დაცვის განყოფილების შექმნის, ძალადობის საკითხზე მუნიციპალიტეტში კომისიის შექმნის და მასში შინაგან საქმეთა სამინისტროს, ზრუნვის სააგენტოს, იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლების გაწევრიანების, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან მუნიციპალურ დონეზე ძალადობის სტატისტიკის და ტენდენციების თაობაზე პროაქტიულად ინფორმაციის მიწოდების მიმართულებით.

მუნიციპალიტეტების განსაკუთრებული შესაძლებლობა, რომ მჭიდროდ იმუშაოს დასახლებებში, აუცილებლად უნდა იყოს სახელმწიფო პოლიტიკის მიერ სათანადოდ გამოყენებული და მიეცეთ მათ ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და მართვის მიმართულებით აქტიური როლი. ამდენად, მუნიციპალიტეტების მიერ რეკომენდირებული აქტივობების განხორციელებისთვის საჭიროა, როგორც პოლიტიკურ დონეზე მხარდაჭერა, ასევე შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერა სათანადო უწყებების მხრიდან. უმჯობესი იქნება რეკომენდირებული აქტივობები აისახოს მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმებში, რათა მოხდეს მათი სისტემატიზაცია.

7. გამოყენებული წყაროები

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, 2011
3. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი
4. საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“
5. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ
6. 2024 წლის 22 იანვარი საქართველოს მთავრობის დადგენილება №14 „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურების დამტკიცების შესახებ“
7. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის დადგენილება „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
8. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის დადგენილება „წალკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
9. ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 18 დეკემბრის დადგენილება „ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
10. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის დადგენილება „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
11. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის დადგენილება „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
12. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის დადგენილება „თელავის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
13. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის დადგენილება „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
14. ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის დადგენილება „ყვარლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

15. სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 დეკემბრის დადგენილება „სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
16. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 დეკემბრის დადგენილება „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
17. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის დადგენილება „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
18. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 26 დეკემბრის დადგენილება „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
19. გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 5 დეკემბრის დადგენილება „გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
20. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის დადგენილება „ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
21. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის დადგენილება „ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
22. „ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა“, 2022, UN Women Georgia.
23. პარლამენტის მუდმივმოქმედი გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა და რეკომენდაციები „გენედერული თანასწორობისა და ქალთა მხარდაჭერის სივრცის“ (ქალთა ოთახი) ინსტიტუციური გაძლიერებისთვის